# ახალი განათლება

2010 წელი, 8 – 14 აპრილი

ფასი 90 თეთრი

№12 (486) გამოდის 1998 წლიდან


# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

სიახლე

## „გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი „მ.ე.ს.–ექსპერტი“ და გაზეთი „ახალი განათლება“ წარმოგიდგენთ ერთობლივ პროექტს – „განათლების სისტემის გზამკვლევი“.

პროექტის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტურად მართვის ხელშეწყობა. ფინანსური/იურიდიული დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაძლო ხარვეზების წარმოქმნის პრევენცია.

საიდან გაჩნდა პროექტის დაწყების იდეა?!

რა თქმა უნდა, საჯარო სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულების ძირითადი მიზანია მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. რაც, თავის მხრივ, ნიშნავს კვალიფიციური კადრების მოძიებას, ეფექტური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და სხვ. მაგრამ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობაში გაჩნდა ახალი მოთხოვნები, ისეთი როგორიცაა, მაგალითად – ეფექტური მენეჯმენტი.

თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიძინა კერძო ბიზნესისათვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტები, როგორიცაა მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელება, კონკურენცია. როგორც ვიცით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აქვთ უფლება აწარმოონ ფინანსური საქმიანობა, მაგალითად, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სარგებლობის სხვადასხვა ფორმებით გასცენ საკუთარი ფართი და ინვენტარი, შექმნან ფასიანი წრეები და სხვ. დაწესებულების მმართველი წრეები, პირველ რიგში დირექტორები, გახდნენ მენეჯერები, ანუ ადამიანები, რომლებმაც უნდა მართონ არა მარტო საგანმანათლებლო საქმიანობა არამედ დაწესებულების ფინანსების მოძრაობა, დაწესებულების იურიდიული და ფინანსური დოკუმენტები, ადამიანური რესურსები. ყოველივე ეს კი მოითხოვს არა მარტო ინოვაციურ აზროვნებასა და მონდომებას, არამედ მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნას.

ჩვენი პროექტის ფარგლებში შევეცდებით საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველ წრეებს (დირექცია, ფინანსური მენეჯერები, ბუღალტრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგები და სხვა თანამშრომლები) მივაწოდოთ სწორედ იმ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებული იურიდიული და ფინანსური ტიპის ინფორმაცია, რომელიც დამახასიათებელია უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და გავუწიოთ კონსულტაცია ამა თუ იმ პრობლემური საკითხის გადაჭრაში.

პროექტის პირველ ეტაპზე წარმოგიდგენთ, ჩვენი შეხედულებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემატურ საკითხებს:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ნორმატიული საფუძვლები და წესი (იჯარა);

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების ჩამოწერის სამართლებრივი საფუძვლები და წესი;

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დირექტორის სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) გამოცემის წესი.

პირველი ეტაპის მიმდინარეობის პარალელურად, მითითებული ელექტრონული მისამართისა და ტელეფონის მეშვეობით, თქვენგან მივიღებთ უფასო შეკვეთებს და გამოვაქვეყნებთ პასუხებს თქვენთვის საინტერესო და პრობლემატურ თემებზე. ასევე გაგცემთ წერილობით პასუხებს თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე.

პრობლემატური კითხვების დასმა და კონკრეტული თემების მოთხოვნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ელფოსტის მეშვეობით, ასევე „მ.ე.ს.–ექსპერტი“ – დირექციასა და გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან სატელეფონო კონტაქტით.

**ინფორმაცია ჩვენ შესახებ:** საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფის – „მ.ე.ს.–ექსპერტი“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სხვა ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი (აუდიტი), ერთჯერადი და გრძელვადიანი ფინანსური და იურიდიული მომსახურება, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვ.

ჩვენი ელფოსტის მისამართი: mes_expert@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონი: 8(99) 92 25 95

→ გვერდი 3

**საერთო სამაგისტრო გამოცდა**

# საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია 8 აპრილიდან დაიწყო და 10 მაისის ჩათვლით გაგრძელდება

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისას თან უნდა იქონიოს:

– პირადობის მოწმობის ასლი;

– ბაკალავრის დიპლომის ასლი ან უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა, რომ სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს თან უნდა ახლდეს აღიარების შესახებ დოკუმენტი);

– ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4);

– გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

– ცნობა რაიმე ტიპის ფუნქციონალური დარღვევის შესახებ, თუ პირს აქვს ისეთი ფუნქციონალური დარღვევა, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს;

– ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი.

**საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდა შესაძლებელია**
**შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:**
**სს „ბაზისბანკი“**
**ბანკის კოდი: 220101956**
**ანგარიში: 133531**
**მიმღები: გამოცდების ეროვნული ცენტრი**
**ს/კ: 202198727**
ან
**სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი”**
**ს/კ: 202198727**
**„სახალხო ბანკის” ცენტრალური ფილიალი**
**ბანკის კოდი: 220101480**
**ანგარიში: 33066836**

მაგისტრანტობის კანდიდატი განცხადებას (სპეციალურ ფორმას) შეავსებს რეგისტრაციის ადგილზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდა ივლისში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას, ჩატარდება.

საგამოცდო ცენტრს მაგისტრანტობის კანდიდატი ირჩევს რეგისტრაციისას.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა:

– ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად;

– საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება საშემსრულებლო საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამებზე.

**სამაგისტრო გამოცდის მიზანია**

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

– მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა.

ПРЕЗЕНТАЦИЕБИ САЕРТОО САМАГИСТРО ГАМОЦДИС ШЕСАХЕБ

**საერთო სამაგისტრო გამოცდა**
**წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა**
**ლოგიკური მსჯელობა**
**რაოდენობრივი მსჯელობა**

სპეციალობის გამოცდას მაგისტრანტობის კანდიდატები უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარებენ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული დამხმარე კრებულის – „საერთო სამაგისტრო გამოცდა“ – შეძენა შესაძლებელია:

**თბილისში:**
ბუდაპეშტის №3Შ (მაღაზია „პრიმა 2”);
„პრიმავერა-ჯორჯია“ (ცენტრალური დადიანის N43);
„ბიბლიოლექტორი“ (შ. დადიანის N13);
„ლიგამუსი“ (ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზირი N32).

**რეგიონებში:**
**ბათუმი**, გორგილაძის ქ.N91, მაღაზია „ევრო 2000“;
**ქუთაისი**, წმინდა ნინოს N1;
**სენაკი**, რუსთაველის N164;
**სამტრედია**, რუსთაველის N25;
**ხონი**, თავისუფლების მოედანი N2;
**გორი**, სტალინის გამზირი N10, მაღაზია „ფარნავაზი“.

# საერთო სამაგისტრო გამოცდის გამსწორებელთა კონკურსის ჩატარების წესი

## (საერთო სამაგისტრო გამოცდა – ანალიტიკური წერა)

## გამოცდების ეროვნული ცენტრი გაცნობებთ, რომ 2010 წლის 12 აპრილიდან დაიწყება საერთო სამაგისტრო გამოცდის (ანალიტიკური წერის) 2010 წლის საგამოცდო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია

### რეგისტრაცია გაგრძელდება 8 მაისამდე

**საგამოცდო კომისიაში მუშაობის უფლება აქვთ ჰუმანიტარული დარგების დიპლომირებულ სპეციალისტებს.**

**საგამოცდო კომისიაში მუშაობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომლის ოჯახის წევრიც 2010 წელს აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას.**

**2010 წლის საგამოცდო კომისიის წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მაგისტრანტობის კანდიდატთა რაოდენობაზე, რაც განისაზღვრება კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ.**

**შერჩევის წესი**

კონკურსის ყველა მონაწილემ, დროის წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთში, უნდა შეაფასოს ნაშრომთა გარკვეული რაოდენობა. ყურადღება მიექცევა როგორც გასწორების სიზუსტეს, ასევე გამოყოფილ დროში გასწორებული ნაშრომების რაოდენობასაც. გამოყოფილი დროის ამოწურვის შემდეგ გასწორების ელექტრონული პროგრამა ავტომატურად გაითიშება. გასწორების პროცესის დამთავრებას კანდიდატები გაიგებენ შეტყობინებით: „ნაშრომი არ მოიძებნა“.

კონკურსანტების მიერ ნაშრომების შეფასების ანალიზის საფუძველზე შეიქმნება გამსწორებელთა რეიტინგული სია. რეიტინგული სიის შედგენისას გათვალისწინებული იქნება, თუ რამდენად დაემთხვევა კონკურსანტის შეფასებები ექსპერტთა შეფასებებს, კერძოდ, რამდენი ქულით განსხვავდება კონკურსანტის შეფასება ექსპერტთა შეფასებისაგან, წერითი დავალებების შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმის მიხედვით.

ანალიტიკური წერის ტესტი შედგება ორი დავალებისაგან: (1) თემა მოცემულ საკითხზე, (2) მსჯელობის ანალიზი.

**წერითი დავალებების შეფასების სქემა**

**დავალება 1**
თემა მოცემულ საკითხზე

**კრიტერიუმები**

1. შინაარსის რელევანტურობა – 2
2. ანალიზი (არგუმენტები და მაგალითები) – 4
3. თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა – 2
4. სტილი, ლექსიკა – 2
5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია – 2

**დავალება 2**
მსჯელობის ანალიზი

**კრიტერიუმები**

1. შინაარსის რელევანტურობა – 2
2. ანალიზი (არგუმენტები) – 4
3. თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა – 2
4. სტილი, ლექსიკა – 2
5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია – 2

თითოეულ კრიტერიუმში ყოველი აცდენილი ქულა ფასდება 1 საჯარიმო ქულით.

მაგალითად, თუ ნაშრომი ექსპერტთა მიერ მეორე კრიტერიუმის მიხედვით შეფასებულია 2 ქულით, ხოლო კონკურსანტმა ის შეაფასა 1 ან 3 ქულით, კონკურსანტი მიიღებს 1 საჯარიმო ქულას; ხოლო თუ კონკურსანტმა მეორე კრიტერიუმის მიხედვით 2 ქულით შეფასებული ნაშრომი შეაფასა 0 ან 4 ქულით, კონკურსანტი მიიღებს 2 საჯარიმო ქულას და ა. შ.

ყოველი გაუსწორებელი ნაშრომისათვის კონკურსანტი ჯარიმდება დავალების მაქსიმალური ქულის ნახევრით. რადგან თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 12, დავალების გაუსწორებლად დატოვების შემთხვევაში კონკურსანტი დაჯარიმდება 6 ქულით. ამიტომ რეკომენდებულია ყველა დავალების გასწორება.

კონკურსანტთა რეიტინგული სია დგინდება საჯარიმო ქულების ჯამის მიხედვით.

კონკურსანტთა მიერ თანაბარი საჯარიმო ქულების დაგროვების შემთხვევაში, შერჩევის აღწერილ წესს დაემატება დროის ფაქტორი და ყურადღება მიექცევა ნაშრომთა გასწორების საშუალო ხანგრძლივობას.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები გამოქვეყნდება შერჩევის დღიდან 2 კვირის განმავლობაში.

კონკურსით შერჩეული სპეციალისტები გაივლიან გასაუბრებას; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მათ დამატებით დაევალოთ გარკვეული რაოდენობის ნაშრომების გასწორება.

საბოლოო შედეგების გარკვევის შემდეგ გამსწორებლები გაივლიან ტრენინგს და ჩაერთვებიან 2010 წლის საგამოცდო ნამუშევრების გასწორებაში.

**რეგისტრაცია**

კანდიდატები ავსებენ შემდეგ ველებს:

1. გვარი, სახელი;
2. საგანი (საერთო სამაგისტრო გამოცდა – ანალიტიკური წერა);
3. პირადი ნომერი (თერთმეტი ციფრი);
4. საკონტაქტო ტელეფონი (სასურველია მობილური);
5. ელექტრონული ფოსტა (სასურველია);
6. გაქვთ თუ არა ინტერნეტით აღჭურვილი სამუშაო ადგილი (კი/არა);

თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ: რომელ ქალაქში/რეგიონულ ცენტრში შეძლებთ მუშაობას როგორც გამოცდის დროს (სავარაუდოდ 10 ივლისიდან 1 აგვისტომდე), ასევე კონკურსის დროს;

7. გთხოვთ, გაეცნოთ კონკურსის ჩატარების პირობებს. იხსნება ტექსტი, რომლის ბოლოს მოცემულია ღილაკი: „წავიკითხე და ვეთანხმები.“

**გაითვალისწინეთ**, თუ არ დააჭერთ ამ ღილაკს, ვერ გაივლით რეგისტრაციას.

**გამსწორებელთა მომზადება**

რეგისტრაციის შემდეგ კონკურსანტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ანალიტიკური

წერის დავალებების გასწორების პრინციპებს და შეფასების კრიტერიუმებს, ასევე, ივარჯიშონ ნაწერების გასწორებაში.

კონკურსანტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ექსპერტთა მიერ გასწორებულ 20 ნაწერს (10 – პირველი დავალების ნიმუში; 10 – მეორე დავალების ნიმუში) და ივარჯიშონ ამ მასალის მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში, კონკურსანტებს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია ელექტრონული გასწორების პროგრამასთან დაკავშირებით. **კონსულტაცია ჩატარდება 20 აპრილს**, გამოცდების ეროვნულ ცენტრში (დასაწყისი – 15:00 საათზე, დასასრული – 18:00 საათზე).

**კონკურსი ჩატარდება 15 მაისს, 12:00-დან 19:00 საათამდე.**

კონკურსის მსვლელობისას გასასწორებელი იქნება 30 დავალება (15 დავალება – 1 და15 დავალება – 2). 15 მაისს, 19:00 საათზე კონკურსი შეწყდება. ამ დროის ამოწურვის შემდეგ გასწორების ელექტრონული პროგრამა ავტომატურად გაითიშება.

გასწორების პროცესის დასრულებას კონკურსანტი გაიგებს შეტყობინებით: „ნაშრომი არ მოიძებნა”. თუ ამ დროისათვის ყველა დავალება არ გასწორდა, დარჩენილი დავალებები ჩაითვლება გაუსწორებლად.

ყოველი გაუსწორებელი ნაშრომის გამო კონკურსანტს ქულები ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით დაეკლდება.

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

# საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ, მათ სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში გადაცემა

ვინაიდან სახელმწიფო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (ტექსტში შემდგომში ვუწოდოთ „დაწესებულებები“) შექმნილია კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად და ეს მიზანი სულ სხვა მიმართულებისაა, ვიდრე უძრავი ქონების მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში გადაცემა, მათ სერიოზული კონსულტაცია ესაჭიროებათ ამ საკითხთან დაკავშირებით.

მართალია აღნიშნული საკითხის სიდიდისა და სირთულის გამო ამ სტატიაში ყველა დეტალისა თუ წვრილმანის მიმოხილვა ვერ მოხერხდება, მაგრამ იმ ძირითადი მონახაზის, ძირითადი პროცედურის წარმოდგენა, რომელიც უნდა განვლოს დაწესებულებამ ამ ნაწილში თავისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობით განსახორციელებლად, შესაძლებელია.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დაწესებულებას, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო უძრავი ქონებით, ეს ქონება გადაცემული უნდა ჰქონდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული რაიმე ფორმით, შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე (2009 წლის ჩათვლით განსაზღვრული იყო, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სახელმწიფო უძრავი ქონება გადაეცემოდათ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე), ანუ ამგვარი ქონების მხოლოდ ბალანსზე ქონა დაწესებულებას არ აძლევს იმის საფუძველს, რომ წარმოადგენდეს ამ ქონების მესამე პირზე დროებით სარგებლობაში გადამცემ სუბიექტს.

მაშ ასე, იმ შემთხვევაში როდესაც სახეზეა დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფოსაგან შესაბამის სახელშეკრულებო საფუძვლებზე დაყრდნობით სარგებლობაში აქვს სახელმწიფო უძრავი ქონება შენობა-ნაგებობების სახით და ამ დაწესებულებამ, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის სახით, უძრავი ქონების ნაწილის კერძო ფიზიკურ, იურიდიულ პირზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე გაცემის თაობაზე, მან უნდა დაიცვას ქვემოთ მოყვანილი ძირითადი პროცედურები:

■ გადაწყვეტილება დაწესებულებაში უნდა მიიღოს უფლებამოსილმა პირმა (დაწესებულების ხელმძღვანელმა) და შემდგომ პროცედურებშიც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა დაწესებულების სახელით. საჯარო სკოლაში ასეთ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, მაგრამ არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ დასადები გარიგების (ხელშეკრულების) ღირებულება აღემატება სკოლის წლიური ბიუჯეტის 5%-ს, აუცილებელია, დირექტორმა ასეთი გარიგების დასადებად მიიღოს სამეურვეო საბჭოს თანხმობა, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უძრავ ქონებას გასცემს არასაგანმანათლებლო ან/და არასამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის – აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება და სხვ.

■ როდესაც დაწესებულება მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ქონების გაცემის შესაბამისი პროცედურების დაწყებამდე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ ქონებას ჰყავს მესაკუთრე (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით), ხოლო დაწესებულებას – ზემდგომი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახით, რომელთაგანაც აუცილებელია მიღებულ იქნეს წერილობითი თანხმობები ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

■ მას შემდეგ, რაც დაწესებულება ჩამოყალიბდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გასაცემი ქონების ოდენობა/ფართი/, გაცემის მიზანი (მიზნები)/ანუ რა სახის საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება გაიცეს ქონება/, სარგებლობის ვადა და სხვა პირობები, ამ პირობების ჩამონათვალითა და გასაცემი ფართის დახასიათებით, წერილობით უნდა მიმართოს მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოსა და ქონების მესაკუთრეს თანხმობის მიღების მიზნით. ნიშანდობლივია, რომ წერილობითი თანხმობა ჯერ მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან, ხოლო შემდგომ უნდა მივმართოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილობით და წერილს თან უნდა დაერთოს (გარდა ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტებისა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან თანხმობის მიღების რაიმე სპეციალური ნორმები არ არსებობს და მოთხოვნის შედგენისას დაწესებულებამ უნდა ისარგებლოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესებით. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან თანხმობის მიღების წესი დადგენილია ამავე სამინისტროს 2006 წლის №585 ბრძანებით. ამ წესიდანაც არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ესაჭიროება ზემოთ მოყვანილი თანხმობების მიღება იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ უძრავი ქონების გაცემა არ სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით მიზნებს და სხვ.

■ დაწესებულებამ უძრავი ქონების გაცემის პროცედურები შესაძლებელია გააგრძელოს იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სახელმწიფო ორგანოებისაგან მიიღებს წერილობით თანხმობებს. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლებელია წერილობით თანხმობებში დაკონკრეტებულ, დაზუსტებულ ან შეცვლილ იქნეს ქონების გაცემის მიზანი (მიზნები)/ანუ რა სახის საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება გაიცეს ქონება/, სარგებლობის ვადა და სხვა პირობები. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მიღებული თანხმობები არ გულისხმობს შესაბამისი ფართის უცილობლად გაცემის ვალდებულებას. ამ დროს დაწესებულებამ თანხმობებში გამოთქმული შესაძლო შეზღუდვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილობის ფაქტორზე დაყრდნობით, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პროცედურის შეწყვეტის (გაგრძელებაზე უარის თქმის) თაობაზე. თუმცა, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა, დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ის პირობები, რომლებიც გამოითქვა მაკონტროლებელი და მესაკუთრე სახელმწიფო ორგანოების მიერ წერილობით დოკუმენტებში (თანხმობის წერილებში). ეს ზემოხსენებული პირობები წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გაგრძელდეს უძრავი ქონების გაცემის შემდგომი ეტაპები.

■ აღნიშნულის შემდგომ დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ქონების კონკურენციის პირობებში გაცემის ორგანიზება, რაც შეიძლება მომგებიანად. მომგებიანობაში, დაწესებულებების მიზნებიდან გამომდინარე, პოტენციური დამქირავებლისა თუ მოიჯარისაგან მხოლოდ რაც შეიძლება დიდი თანხის შემოთავაზება და მიღება არ იგულისხმება. საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მათი მიზნების განხორციელებაში ხელშემწყობი ფაქტორების მოძიება, შესაბამისად, ასეთი ფაქტორებით აღჭურვილი დამქირავებელი თუ მოიჯარე უფრო მომგებიანია, თუმცა არც დამატებითი შემოსავლების მიღება უნდა დავაყენოთ უკანა პლანზე (განსაკუთრებით მცირე კონკურენციისას და დაწესებულების ფინანსური სახსრების სიმცირისას), ვინაიდან შემოსული თანხებიც სწორედ დაწესებულების მიზნების განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

■ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაწესებულება უძრავი ქონების გაცემის მიზნით მართავს აუქციონს ან კონკურსს. შესაბამისად, დაწესებულება ალტერნატივის წინაშეა – უფლებამოსილია ჩაატაროს კონკურსი ან ჩაატაროს აუქციონი. ამავე კანონის თანახმად, აუქციონის ჩატარების წესი განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო კონკურსის ჩატარების წესი – საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №247 დადგენილება). აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქონების გაცემის პროცედურა არ შიძლება დაიწყოს კონკურსის წესით და გაგრძელდეს ან დასრულდეს აუქციონის წესით. დაწესებულებამ ამ ორი სავალდებულოდ შესასრულებელი პროცედურიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი, მისით დაიწყოს პროცესი და მისითვე დაასრულოს. აღსანიშნავია, რომ კონკურსის თუ აუქციონის გარეშე უძრავი ქონების გაცემა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაწესებულებას (ქონების გამცემს) მიღებული აქვს საქართველოს მთავრობის წერილობითი თანხმობა კონკურსის ან აუქციონის გამართვის გარეშე ქონების გაცემის თაობაზე. ორივე ზემოხსენებული პროცედურა საკმაოდ რთულად განსახორციელებელია და დაწესებულებები ხშირად მიმართავენ კერძო იურიდიულ კონსულტაციასა და აუდიტორულ ფირმებს, შესაბამისი დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებისა თუ კონკურსის ან აუქციონის ორგანიზებაში დახმარების მიზნით.

■ კონკურსის, ისევე როგორც აუქციონის, მიზანია შექმნას კონკურენტული გარემო და ქონების გამცემმა ამ პირობებში მიიღოს მაქსიმალური როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სარგებელი. ორივე ზემოაღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს გამარჯვებულის (ყველაზე ღირსეული პრეტენდენტის) გამოვლენას. რასაკვირველია, თავად უძრავი ქონების გაცემის პროცედურა მხარეებს შორის წერილობითი ხელშეკრულების დადებით სრულდება, თუმცა, ამის შემდგომ იწყება მხარეებისათვის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი – ხელშეკრულების პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულების უზრუნველყოფა. აქ დაწესებულებას უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვინაიდან მის მიერ სარგებლობაში გაცემულია უძრავი ქონება, რომელიც თავად აქვს სარგებლობაში და მესაკუთრის წინაშე თავად იტვირთა ვალდებულებები ამ ქონებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს როგორც ხელშეკრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და ვალდებულებების (მაგალითად, ქირის ოდენობა და გადახდის პირობები, ქონების მიმღების ვალდებულებები, პირგასამტეხლო და მისი სახეობები) დამქირავებელთან თუ მოიჯარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახვა, ისე ამ პირობებისა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ, მათ სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო უძრავი ქონების მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში **აუქციონის** ან **კონკურსის** წესით გადაცემის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება შემდგომ ნომრებში.

*საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი „მ.ე.ს. – ექსპერტი“*


**MES-EXPERT**

**ფინანსური/იურიდიული მომსახურება**

საკონსულტაციო ჯგუფის MES-EXPERT ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**ჩვენ მიერ შემოთავაზებული მომსახურება:**

■ ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი;
■ საკონსულტაციო მომსახურება;
■ ურთიერთობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;
■ იურიდიული მომსახურება;
■ აუდიტი;
■ ქონების შეფასება და სხვ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: 8(99) 92 25 95, 8(99) 30 52 55 E-mail: mes_expert@yahoo.com

საგანმანათლებლო კერები

# განათლების სათავეებთან აფხაზეთში

*„გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება არ ჩაქრება აფხაზეთში.“*
*წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე*

**ვახტანგ გასვიანი**
აფხაზეთის ატონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

აფხაზეთი – საქართველოს ეს უმშვენიერესი მხარე უძველესი დროიდან ქართული კულტურის კერაა. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, ქართულ ეკლესიას. ქართული ეკლესია-მონასტრები განათლების გავრცელების ძირითადი კერები იყო მთელ საქართველოში.

ქართული ენა აფხაზეთში არა მარტო საეკლესიო ენა, არამედ მწიგნობრობისა და დამწერლობის ენაც გახლდათ, რაც ნათლად დასტურდება კულტურის ძეგლებზე შემორჩენილი წარწერებით. ქართული ენა აფხაზეთში ძველთაგანვე სახელმწიფო ენის ფუნქციას ასრულებდა, რაზეც მრავალი ისტორიული წყარო მეტყველებს.

XIX საუკუნეში აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე კავკასიის მმართველობას და მის წარმომადგენლებს წერილობით ქართულად მიმართავდა, მისი კანცელარია ქართულად მუშაობდა.

ქართული წერა-კითხვა უმთავრესად თავადაზნაურობამ იცოდა. რუსი მკვლევარი მ. სელეზნევი, რომელსაც 1840 წელს აფხაზეთში უცხოვრია, წერს: *„მაღალი წოდების წარმომადგენლებიდანაც აფხაზეთში ბევრმა იცის ქართული წერა-კითხვა“* (მ. სელეზნევი, „კავკასიის შემეცნების სახელმძღვანელოდ“, წიგნი II, პეტერბურგი, 1847 წ., გვ. 206).

XIX საუკუნე საქართველოში ეროვნული მწერლობისა და ლიტერატურის ზეობის ხანაა. ამ ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გზამკვლევად დაედო დიდი ილიას სიტყვები ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს. წმიდა ილია მართლის უკვდავი გამონათქვამი – ენა, მამული, სარწმუნოება – ამ დროის ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ცხოვრების თანმდევი გახდა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, როცა რუსეთის იმპერია მკვიდრდებოდა აფხაზეთში, იქ მოღვაწე მღვდელმონაზონი (აფხაზეთის ეპისკოპოსი – 1861-1868 წწ) – ალექსანდრე ოქროპირიძე ქართულისა და აფხაზური ენის ცოდნას, აფხაზეთში წარმატებით მოღვაწეობისათვის, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1860 წლის 18 მაისს ალ. ოქროპირიძემ ვრცელ წერილში – „მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“ დიდი ადგილი დაუთმო ქართული ენის მნიშვნელობას არა მარტო საქართველოში, არამედ მიმდებარე რეგიონში: *„აფხაზური ენის შესწავლა, როგორც ადგილობრივის უეჭველად სასარგებლოა. მაგრამ, არანაკლებ, არამედ კიდევ უფრო მეტი სასარგებლო და აუცილებელია ქართული ენის შესწავლა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აფხაზურ ენაზე არ არის წერა-კითხვა, ქართული ენა მწიგნობრობისა და საეკლესიო ენაა. მეორეც, როგორც დამწერლობის მქონე ენა ქართული ხმარებაშია აფხაზებსა და ვაჭრებს შორის დაწყებული გურიისა და სამეგრელოს საზღვრებიდან, აგრეთვე თურქეთის შემადგენლობაში მყოფი ტრაპიზონიდან და ბათუმიდან ვიდრე რუსეთის საზღვრებამდე, ანაპამდე და ნოვოროსიისკამდე.*

*მესამეც, ქართული ენა ხმარებაშია აფხაზებს შორის, განსაკუთრებით თავადაზნაურობაში. მთავრის ოჯახი სუფთად ბუნებრივად ფლობს ქართულ სამოქალაქო და საეკლესიო ენას; ქართველებს მეტ პატივს სცემენ აფხაზეთში ვიდრე სხვა ხალხებს და ქართველთა ენაც მეტ პატივშია აფხაზთა შორის. უფრო მეტიც – წერს შემდეგ იგი – ქართული ენა იგივეა კავკასიაში და იმერკავკასიაში, რაც თურქული და ოსმალური თურქეთის იმპერიაში, ე.ი. საერთაშორისო ხმარების ენაა. ქართული ენა, ასე გამოვთქვამ, წარმოადგენს გონებისა და გულის საზრდოს კავკასიის ხალხებისათვის, ამიტომ ის არის სამეცნიერო-ლიტერატურული და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა, ის ოპტიმისტური განწყობით და მომავლის რწმენით ამბობს: „გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება არ ჩაქრება აფხაზეთში“* (ჯ. გამახარია, „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი“, თბილისი, 2006 წ., გვ. 85-86).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის ტერიტორიაზე, 1886 წლის მონაცემებით, ცხოვრობდა 68773 ათასი ადამიანი, მათ შორის ქართველები – 34806 – 50%; აფხაზები – 28320 – 41,5% (სამურზაყანოელები ე.ი. ქართველები ჩაწერილია აფხაზებად); სომხები –1090 –1,6%; რუსები – 1216 – 1,8%; ბერძნები – 2149 – 3,1% (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია – აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები; რუსულ ენაზე, ქ. თბილისი, 1995 წ., გვ. 78). ამრიგად, მოსახლეობის უმრავლესობას იმ პერიოდშიც ქართველები შეადგენენ.

ცნობილი ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის, თედო სახოკიას მონაცემებით, რომელსაც XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში უმოგზაურია, სოხუმის, დაბა გუდაუთის, ოჩამჩირის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები იყვნენ. ამ პერიოდში ქართველი სასულიერო პირები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ აფხაზთა შორის ქრისტიანობის აღდგენას. მათი მოღვაწეობით აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში მრავალი ეკლესია დაფუძნდა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა. ისინი ღვთისმსახურებას კარგად უთავსებდნენ პედაგოგიურ საქმიანობას. ბევრი სასულიერო პირი მასწავლებლობასაც ეწეოდა ეკლესიებთან გახსნილ სამრევლო სკოლებში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთში, როგორც სკოლების გახსნამდე, ისევე შემდგომშიც მღვდლები თავიანთ სახლებში მსურველთ, რომლებიც არც თუ ცოტანი იყვნენ, ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, ადგილობრივ მოსახლეობაში ეწეოდნენ საგანმანათლებლო მუშაობას. ამრიგად, ამ პერიოდში აფხაზეთში ეროვნულ (ქართულ-აფხაზურ) ნიადაგზე საგანმანათლებლო მუშაობის განხორციელებისათვის შესაბამის ბაზას ეყრებოდა საფუძველი, ამისკენ ლტოლვა და სურვილი მოსახლეობის დიდ ნაწილში არსებობდა.

ამ მხრივ ფასდაუდებელია ალექსანდრე ოქროპირიძის – აფხაზეთის ეპისკოპოსის, მანამდე კი მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა სასულიერო თანამდებობაზე მოღვაწეობა. მან ღრმა კვალი დატოვა ამ მხარის სულიერ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთში ჩამოდის 1851 წლის შემოდგომაზე. ის ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. სასულიერო სასწავლებელი კი გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში 1852 წლის 25 სექტემბრიდან ამოქმედდა. დადგენილია, რომ ლიხნში, ამ სასწავლებლის გახსნამდე, 1851 წელს, ალექსანდრე ოქროპირიძე საკუთარი სახსრებით სოფელ ილორში აწყობს ერთწლიან მოსამზადებელ სკოლას და თვითონვე ასწავლის ბავშვებს სასულიერო სასწავლებლის პროგრამით.

1852 წლის 25 სექტემბერს ალექსანდრე ოქროპირიძე მუშაობას იწყებს ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ამ სასწავლებელს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ დიდი დახმარება აღმოუჩინა – გადასცა ერთი სახლი 40 მოსწავლეზე, ორი ეპისკოპოსისა და ეკლესიის მსახურთათვის. თავიდან სასწავლებელში 11 ბავშვი სწავლობდა. შემდგომში მათი რიცხვი ოცამდე გაიზარდა. საუკეთესო მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეეძლოთ.

ყირიმის (1853-56 წლების) ომმა სასწავლებლის არსებობას დიდი სიძნელეები შეუქმნა, რის გამოც ის 1854 წლის მაისში დაიხურა. 1855 წელს ფუნქციონირება განაახლა ჯერ სოფელ ჭკადუაშში, სადაც რამდენიმე თვე იმუშავა, შემდეგ გადაიტანეს სამეგრელოს სოფელ ქვაშხორში, თავად ელიზბარ დადიანის სახლში. სასწავლებლის ზედამხედველი ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთის მთავრის შვილთან, გიორგი შერვაშიძესთან ერთად აფხაზეთის მცხოვრებთა ექვს ბავშვს ასწავლიდა. მთავარმა მას აღსაზრდელად ტახტის მემკვიდრე – 9 წლის გიორგი მიაბარა.

1856 წელს, თებერვალში, აფხაზეთი უკვე განთავისუფლებული იყო თურქებისაგან, ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში სასწავლებლის აღდგენა შეიძლებოდა, მაგრამ ასეთი განკარგულება არ გაცემულა. ალექსანდრე ოქროპირიძე პერიოდულად სვამდა საკითხს მისი აღდგენის შესახებ, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. 1858 წელს მან ხელისუფლებას ამ საკითხის მოგვარება კიდევ ერთხელ შეახსენა. წერილში წერდა – აფხაზთა ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ და აფხაზურ ენებს, დაეუფლებოდნენ ამ ენაზე არსებულ სასულიერო ლიტერატურას. სასწავლებელს *„ექნება სასიკეთო გავლენა აფხაზთა ბავშვებზე გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით, სასწავლებელში მიღებული კარგი აღზრდისა და მიმართულების პირობებში ბავშვები იქნებიან ფრიად სასარგებლონი საკუთარი სამშობლოსათვის“*. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, თუ როგორი გულისხმიერებით და მზრუნველობით ეკიდებოდა ალექსანდრე ოქროპირიძე განათლების შეტანას აფხაზ ბავშვთა შორის.

ცნობილია, რომ აფხაზეთის ეპისკოპოსის მოღვაწეობის პერიოდში, სამეგრელოში – ცაიშის მონასტერში, 1862-64 წლებში, რამდენიმე

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

1978 წლის 14 აპრილს მთელი ქართველი ერი წინ აღუდგა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. ამ საპროტესტო აქციის მასშტაბურობამ მაშინდელ ხელისუფლებას გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

მას შემდეგ საქართველოში ყოველწლიურად აღნიშნება დეკადების დღე.

ამ დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიება და აქცია ოფიციალურ.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გილოცავთ დეკადების დღეს და ყველა სკოლას მთელი საქართველოს მასშტაბით საჩუქრად გადასცემს პლაკატს „ქართული ანბანი“.

პლაკატის მისაღებად გთხოვეთ, მიაკითხოთ თქვენს რაიონულ რესურს-ცენტრს.

**განსაკუთრებული სიახლე**
**თქვენი ბიბლიოთეკის განვითარებისათვის!**

**წიგნები ფასდაკლებით, ადგილზე მიტანით**

**მხოლოდ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან“**
**„სახალხო ბანკსა“ და „სახალხო ფოსტასთან“ თანამშრომლობით**

საქართველოში არსებული ყველა სკოლის შესაძლებლობა ეძლევა, ჩვენი გამომცემლობის წიგნები ადგილზე მიიღოს გრანდიოზული ფასდაკლებით:

- 200-დან 500 ლარამდე წიგნების შეკვეთის შემთხვევაში მიიღებთ 10%-იან ფასდაკლებას;
- 500-დან 1000 ლარამდე — 15%-იან ფასდაკლებას;
- 1000 ლარზე მეტი 20% იან ფასდაკლებას.

შეკვეთის მინიმალური თანხაა 100 ლარი.

**დარეკეთ დღესვე და ისარგებლეთ შეთავაზებით.**
**იჩქარეთ, აქცია ძალაშია 2010 წლის 31 მაისამდე!**

მისამართი: ფიფიანი აღმაშენებლის 150
ტელეფონი: (822) 91 00 54
(822) 91 11 66
ელ. ფოსტა: xalxi@xalxbank.ge
საბანკო რეკვიზიტები: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
ანგარიშის ნომერი:
36 007 250
ბანკის კოდი:
220 101 480

## საგანმანათლებლო კერები

აფხაზი ახალგაზრდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახსრებით სწავლობდა. აი, მათი გვარებიც: გიორგი მარშანია, გიორგი ეშბა, პეტრე იასკუა, პეტრე ფილია, პეტრე ანთია, ნესტორ გრიგორია, დავით ფილია, გრიგორი ტებლია. ეს აფხაზი მოსწავლეები კარგად კითხულობდნენ, საუბრობდნენ ქართულად და მეგრულად, რიგიანად კითხულობდნენ, წერდნენ და საუბრობდნენ რუსულად, პრაქტიკულ მეცადინეობებს გადიოდნენ აფხაზურად. ისინი ქართულ და აფხაზურ ენებს ასწავლიდნენ მოსკოვის სასულიერო აკადემიადამთავრებულ მღვდელმონაზონ იონას. თუ როგორი სიყვარულით და კეთილშობილებით ეკიდებოდა აფხაზი ბავშვების აღზრდას, კარგად ჩანს მისი წერილიდან: *„ბოლოს, ვამთავრებ სიტყვას ჩემს საკუთარ საშინაო მოსწავლეებზე, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ვასწავლიდი, ვაცმევდი, ვაჭმევდი იმისთვის, რომ ამჟამად მათ ასე რომ ვთქვათ, გადავცემ ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებელს. ისინი იქნებიან სასწავლებლის მშვენება. ამ მოსწავლეების სახით მე პირველად ჩავუყარე საფუძველი ჭაბუკების კაპიტალურ სასულიერო განათლებას აფხაზეთში. ვიმეორებ, რაც შემეძლო, ვქენი სიკეთე სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის სარბიელზე, მოსწავლეების უმაღლესი აღზრდის მისაღებად. ყველგან მსუფევმა და ყოვლის მხილველმა ღმერთმა უწყის რამდენი მქონდა სურვილი აფხაზთათვის ზნეობრივი და ბუნებრივი განათლება მიმეცა“* (ჯ. გამახარია, „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი“, ქ. თბილისი, 2005 წ., გვ. 141-143).

ალექსანდრე ოქროპირიძემ ამ წერილში, რომელიც საქართველოს ეგზარქოსს გაუგზავნა, ნათლად გამოხატა ის დამოკიდებულება, რაც იმ პერიოდში აფხაზეთის მიმართ სუფევდა ქართულ ეკლესიაში და მთლიანად მოწინავე ქართულ ინტელიგენციაში. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული და აფხაზური ენების შესწავლის საქმეს და ამით წინააღმდეგობაში მოდიოდა მაშინდელ სამოქალაქო და სასულიერო ხელმძღვანელობასთან, ფაქტობრივად, ეს იმ პოლიტიკისადმი ღია დაპირისპირება იყო.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, წერს პროფესორი ჯ. გამახარია, რომ სწავლა-განათლების საქმეს აფხაზთა შორის სწორედ ალექსანდრე ოქროპირიძემ ჩაუყარა საფუძველი (იქვე. გვ. 371).

ეპისკოპოს ალექსანდრესთან ერთად აფხაზეთში ბევრი ღირსეული ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ესენი იყვნენ: დეკანოზი ბესარიონ მიქაბერიძე, მღვდელი გრიგოლ დადიანი, გიორგი ახვლედიანი და სხვ.

გალში – სამურზაყანოში აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა მღვდელი დავით მაჭავარიანი. მისი უშუალო თაოსნობით, 1851 წელს, სოფელ ოქუმში და 1856 წელს – სოფელ დიხაზურგაში სასულიერო სკოლები გაიხსნა. ოქუმის სკოლა იყო პირველი სასწავლებელი მაშინდელ აფხაზეთში.

1864 წელს ტამიშის ეკლესიაში გიორგი ახვლედიანი ასწავლიდა ოთხ აფხაზ ბავშვს. 1866 წლის 3 მარტს ქ. სოხუმში გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, რომელიც აკურთხა ალექსანდრე ოქროპირიძემ.

ეპისკოპოს ალექსანდრეს მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდნენ პირველი აფხაზი სასულიერო პირები. მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო ლიხნის მკვიდრი ივანე გეგია, ამ ტაძრის მღვდელი. მან ქართული და აფხაზური ენები კარგად იცოდა, პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა, მონაწილეობდა აფხაზური ანბანის შექმნაში. 1877 წელს კი მუხანათურად იქნა მოკლული. საკმაოდ ცნობილი მღვდლები იყვნენ: იოანე არგუნი, რომელმაც განათლება მარტვილის ეკლესიაში მიიღო და ალექსანდრე ოქროპირიძის აღზრდილი – პეტრე ფილია, რომელიც აფხაზეთის სხვადასხვა ეკლესიებში მოღვაწეობდა.

ქართველ სასულიერო პირებს დიდი წვლილი მიუძღვით 1866-67 წლების მოჰაჯირობის პერიოდში აფხაზების ფიზიკურ გადარჩენაში. მაშინ ყველაზე მეტად ის რაიონები დაზარალდნენ, სადაც ქართველ სასულიერო პირებს მუშაობის საშუალება არ ეძლეოდათ. იქ კი, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ, მოჰაჯირების რიცხვი შედარებით მცირე იყო, აფხაზები ქართველების მხარდაჭერას მუდმივად გრძნობდნენ. *„ამ უბედურ დროს, – ამბობდა ამბროსი ხელაია, – მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდნენ“* (იქვე, გვ. 32-33).

აფხაზეთში არსებული რთული ვითარება ხელს უშლიდა სასულიერო პირების მისიონერულ მოღვაწეობას, ასევე მათ მცდელობას განათლებისა და კულტურის სფერო გამოეყენებინათ ქართველი და აფხაზი ხალხების მეტად დაახლოებისათვის.

ამ კეთილშობილ საქმეს წინ აღუდგა ცარიზმის კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთი საქართველოში, ასევე აფხაზეთში გამოკვეთილად დაადგა დამპყრობლური პოლიტიკის გზას. მეფის მთავრობა არ იყო დაინტერესებული განათლების საქმის მოწყობით და პირობები, რომელსაც ქმნიდა, არ უწყობდა ხელს ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნულ ნიადაგზე განათლებისა და კულტურის განვითარებას. სკოლა თავიდანვე არარუსი მოსახლეობის გარუსების საშუალებად იყო გამოცხადებული.

რუსი მოხელეები ყველაფერს აკეთებდნენ ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების მოსასპობად. ამ მიზანს ემსახურებოდა, პირველ რიგში, რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შექმნა. ამ ანბანის შემქმნელი პ. უსლარი ამბობდა, რომ *„კავკასიის მთიელ ხალხებს არ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი კულტურა, მწერლობა, განათლება. „ველურთა“ განათლება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ... ადვილი იყოს მათთვის რუსული ენის შესწავლა“.*

ისინი ებრძოდნენ ქართულ სამღვდელოებას, რომელიც იმ პერიოდში ქართულ-აფხაზური კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის, ერთადერთი გამტარებელი იყო. ისინი ებრძოდნენ ქართულ ენას, ასევე ყოველივე ქართულს აფხაზეთში.

ამავე დროს, მეფის მოხელეები აშკარად არ იყვნენ დაინტერესებული აფხაზეთში განათლებისა და კულტურის განვითარებით. ცარიზმის თავგამოდებული იდეოლოგი კავკასიაში ე. ვეიდენბაუმი წერდა: *„აფხაზური ენა, რომელსაც არ აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, განწირულია, რასაკვირველია, გაქრობისათვის მეტნაკლებად ახლო მომავალში. საკითხი იმაშია რომელი ენა შეცვლის მას. ცხადია, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეების ცნებების მატარებელი უნდა გახდეს რუსული და არა ქართული ენა. მე მგონია, რომ ამიტომ აფხაზური დამწერლობის შექმნა მიზანი კი არ უნდა იყოს თავისთავად, არამედ მხოლოდ საშუალება ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის გამოყენების შემცირება-შესუსტებისა და მისი შეცვლისა სახელმწიფო ენით (იგულისხმება რუსული ენა). თუ ჩვენ ამას მხედველობიდან გაუშვებთ, ჩვენ მივდივართ რისკზე გარდა ქართულისა და სხვა ავტონომიისა, შევქმნათ აფხაზეთის ავტონომიაც“* (გ. როგავა „მართლმადიდებლობა აფხაზეთში“, თბილისი, 2005 წ., გვ. 148).

1868 წელს ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ აფხაზური ენა ცნო „ჩვილ და განუვითარებელ“ ენად, ყოველგვარი მცდელობა – შემდგომში ამ ენაზე წიგნები ეთარგმნათ – შეწყდა. უფრო სწორად, როგორც ა.პ. დუდკო წერს: *„მეფის მოხელეები არ იყვნენ დაინტერესებული აფხაზური ენის განვითარებით, მით უმეტეს აფხაზური კულტურის“* (ა.პ. დუდკო, „აფხაზეთის რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან“, სოხუმი, 1856 წ., გვ 23-24).

აქედან ნათლად ჩანს, რომ აფხაზურ ენასთან მიმართებაში მეფის მოხელეებს, ქართველი სასულიერო მოღვაწეებისაგან განსხვავებით, სრულიად საპირისპირო პოზიცია ეკავათ.

ანალოგიურად ფიქრობდა მეორე რუსი მოხელე ე. პრუტკოვი. გაზეთ „კავკაზში“ ის წერდა: *„უპირველეს ყოვლისა უპირატესობა ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სრული ბატონობა ქართული სამღვდელოების ამ ახლად გაქრისტიანებულ მხარეში სრულებითაც არაა ჩვენთვის სასარგებლო, სრულებით არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს... აფხაზთა განუვითარებლობა, მათგან მართლმადიდებულობის მიღება და ახალი სამოქალაქო მმართველობა – ქმნიან ჩვენთვის შესანიშნავ ნიადაგს, რომელზედაც ჩვენ ადვილად შევქმნით ახლო ხანებში სუფთა რუსულ პროვინციას“.* მისი აზრით, რუსულ ენაზე სწავლება აფხაზეთის სკოლებში, ხელს შეუწყობდა რუს სამღვდელოებას აქაური მოსახლეობის გარუსებაში. აი, რას წერს ის ამის შესახებ: *„არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამ მხარეში რუსული ენის სწრაფად გავრცელება არის უპირველესი მნიშვნელობის საქმე, მის გარეშე ქრისტიანული წესების დანერგვაც გაძნელდება და რად გვინდა მომავალში შევქმნათ ზედმეტი დავიდარაბა აფხაზი ეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვით“* (გ. როგავა, იგივე, გვ.148-149).

მეფის ადმინისტრაციის ხელში სასკოლო სწავლებაც კოლონიალური დამონების იარაღად იყო გადაქცეული. 1844 წელს, როდესაც მეფის მთავრობა პირველად დაინტერესდა აფხაზეთში სკოლების შექმნის საკითხით, გენერალი გუდბერგი წერდა, რომ *„ეს არის ერთადერთი საშუალება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ხელსაყრელად გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მთიელებს შორის გამოვზარდოთ ახალი თაობა, რომელსაც ექნება მეფის მთავრობისადმი მეტი ნდობა“* (ვ. ზანთარია, „სახალხო განათლება აფხაზეთში“, კომ. განათ., 1936 წ., №12, გვ. 2, I/IV).

იგივე გენერალი ამბობდა, რომ მოწაფეები *„უნდა ავიყვანოთ უმთავრესად ბავშვური ასაკიდან, რათა აღზრდის შემდეგ თავის დროზე მათ ასწავლონ თავისივე ტომს ცნება წესრიგისა და კეთილი წყობილებისა კანონიერი მთავრობის საფარველ ქვეშ“.* ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ მეფის რუსეთის მოხელეები, განათლების ორგანოები გაეხადათ თავიანთი მიზნების გამტარებელ ორგანოებად.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში განათლების განვითარების ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულება გამოიკვეთა:

პირველი – საგანმანათლებლო მუშაობა უნდა განხორციელებულიყო ეროვნულ ნიადაგზე, რომელიც ქართველი და აფხაზი ხალხების ინტერესების გამომხატველი იქნებოდა. განათლებისა და კულტურის გავრცელებას ხელი უნდა შეეწყო ამ ორი მოძმე ხალხის დაახლოებისათვის და თანაცხოვრებისათვის, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ და აფხაზურ ენებზე ახალგაზრდობის სწავლას. ამ კეთილშობილ საქმეს საფუძველი ჩაუყარეს ქართველმა სასულიერო პირებმა, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ქართული ეროვნული პედაგოგიკის ფუძემდებლებმა.

მეორე – საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო საქმიანობას რუსიფიკატორული პოლიტიკა დაედო საფუძვლად. აქ მომუშავე მეფის ხელისუფლების სასულიერო, სამოქალაქო თუ სამხედრო მოხელეები სკოლას მოსახლეობის გარუსების იარაღად იყენებდნენ. ყოველნაირად ცდილობდნენ ქართული და აფხაზური ენის რუსული ენით ჩანაცვლებას. ისინი ადგილობრივი ბავშვების სწავლა-აღზრდით სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებული. აი, როგორ ჩამოაყალიბა განათლების რუსიფიკატორული არსი მღვდელმა იოანე ვოსტორგოვმა: *„საქართველოს ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.* აფხაზების მისამართით ეს მიზანი ასე ჟღერდა: *„აფხაზთა გარუსებისა და ქართველებისადმი მათი დაპირისპირების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.*

აი, როდის უყრიდნენ საფუძველს ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებას რუსი შოვინისტები. ისინი გულმოდგინედ ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ქართული კულტურის გავლენა საქართველოს ამ განუყრელ ნაწილში.

დაუბრკოლებლად რომ განეხორციელებინა თავისი მიზნები, მეფის ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა მანკიერი სასკოლო მმართველობა. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებული სკოლები ხარკოვის სასწავლო ოლქს ექვემდებარებოდა. მხოლოდ 60-იან წლებში შეიქმნა კავკასიის ოლქის მზრუნველის თანამდებობა, 70-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიის ინსპექცია, შემდეგ კი – დირექცია. სოხუმის ოლქის სასწავლებლები, 1914 წლის 1 სექტემბრიდან, გამოეყვნენ ქუთაისის დირექციას და დაარსდა სოხუმის სახალხო სკოლების ინსპექცია. უნდა აღინიშნოს, რომ მეფის მთავრობა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, სახალხო განათლების ხელმძღვანელ თანამდებობაზე ადგილობრივ პედაგოგებს არც ერთ დონეზე არ ნიშნავდა.

გაგრძელება იქნება

# მოსწავლეთა ნახატების კონკურსი „სადაკო – მშვიდობის ელჩი“

*„მე დავწერ მშვიდობას თქვენს ფრთებზე და თქვენ იფრენთ მთელ მსოფლიოში“*
*სადაკო სასაკი*

სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, აცხადებს მოსწავლეთა ნახატების კონკურსს „სადაკო – მშვიდობის ელჩი“.

კონკურსანტმა იაპონელი გოგონას – სადაკო სასაკის ტრაგიკული ისტორია შემოქმედებითად უნდა გაიაზროს და შექმნას ნახატი (სადაკოს ისტორია თან ახლავს საკონკურსო განცხადებას), რომელშიც გამოხატული იქნება საკუთარი აზრი, განცდა, ემოცია, შთაბეჭდილება და დამოკიდებულება სადაკოს ტრაგიკული ისტორიისადმი.

ჟიური შეარჩევს საუკეთესო ნახატებს, რომელთაგან სამი აღინიშნება პრიზებით – I პრიზი, II პრიზი, III პრიზი. აღნიშნული პრიზების მფლობელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან გადაეცემათ პორტატული კომპიუტერები.

დაწესდება სხვადასხვა ნომინაციები. ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

ნახატები მიიღება 19 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით მისამართზე: თბილისი, დადიანის ქ. №4 (თავისუფლების მოედანთან), მერიის სამსახურის ძველი თბილისის გამგეობის ახალგაზრდული ჯგუფი.

ნახატს უნდა ერთვოდეს: კონკურსანტის სახელი და გვარი; სკოლისა და კლასის დასახელება; ბინის მისამართი და ტელეფონი.

დაჯილდოება მოეწყობა 22 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

მისამართი: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ:
899 94 94 82 899 94 94 82.

სადაკო სასაკი დაიბადა იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში 1943 წლის 7 იანვარს.

1945 წლის 6 აგვისტო. ჰიროსიმაში ზაფხულის ცხელი დილა გათენდა. ქალაქი ახმაურდა. უღრუბლო ცაზე ბომბდამშენი თვითმფრინავი გამოჩნდა. გაისმა გამაფრთხილებელი სირენის ხმა.

2 წლისა და 7 თვის სადაკო სარკმლიდან მოწმენდილ ცას გასცქეროდა. მზე ხალისიანად ანათებდა. ცხრის თხუთმეტ წუთზე ბ-29 ტიპის ბომბდამშენმა თვითმფრინავმა ატომური ბომბი, სახელად „პატარა ბიჭუნა“ ჩამოაგდო. სადაკოს სახლი აფეთქების ეპიცენტრიდან 1700 მეტრის მანძილზე იდგა. უცებ ყველაფერი განათდა და წამში დანგრეული და დანახშირებული ქალაქიდან უზარმაზარი, ცეცხლოვანი სოკო ამოიზარდა. სადაკოს ძლიერმა ნათებამ თვალი მოსჭრა და აფეთქების ტალღამ გოგონა გარეთ გადააგდო. ბედად, დაწვას გადარჩა და დედამ მალევე იპოვა.

მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდებოდა. სადაკო ხედავდა, რომ ხალხის გაუტეხელი სულის წყალობით ქალაქი ხელახლა შენდებოდა. სადაკო იზრდებოდა ძლიერი, ჯანმრთელი, გულადი, ენერგიული და ათლეტური აგებულების გოგონა. სადაკოს ძალიან უყვარდა სირბილი. მას ყველაზე სწრაფი ბიჭიც კი ვერ ეწეოდა.

1954 წლის ნოემბრის ბოლოს 9 წლის სადაკო გაცივდა და კისერზე და ყურების უკან ლაქები გაუჩნდა. სადაკოს საავადმყოფოში ტესტირება ჩაუტარეს. დიაგნოზი ულმობელი იყო – ლეიკემია – ატომური ბომბის გამოსხივებით გამოწვეული რადიაციული მოწამვლა, რომლისგანაც განკურნება შეუძლებელი იყო.

ერთ დღეს სადაკოს საავადმყოფოში საუკეთესო მეგობარი ჩიზუკი ესტუმრა და ძველი ტრადიციის შესახებ უამბო: თუ ადამიანი 1000 ქაღალდის წეროს გააკეთებდა, მისი სურვილი ასრულდებოდა.

სადაკომ ჭერიდან იატაკამდე თოკი გააბა და ზედ თავის გაკეთებულ ქაღალდის წეროებს კიდებდა. გოგონა თითოეულ ქაღალდის წეროს ჯანმრთელობას შესთხოვდა. სადაკოს პალატა ფერადი ჩიტებით აივსო. სადაკო სულით მებრძოლი იყო – წეროების კეთებას სიკვდილამდე აგრძელებდა. მან 644 წეროს გაკეთება მოასწრო. დარჩენილი 356 ქაღალდის წერო მისმა თანაკლასელებმა სადაკოს გარდაცვალების შემდეგ დაამზადეს. ზოგი ვერსიით კი, სადაკომ 1000-ზე მეტი წერო გააკეთა.

1955 წლის 25 ოქტომბრის ერთ ცივ დღეს სადაკო საავადმყოფოში გარდაიცვალა და გოგონას ოცნებაც ჩაქრა. სადაკოს მეგობრები აღფრთოვანებულები იყვნენ მისი სიმამაცით და სიძლიერით. მათ გამოსცეს სადაკოს წერილები წიგნად. სადაკოს და 1000 ქაღალდის წეროს ამბავი კი ლეგენდად იქცა.

ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალურ პარკში დგას სადაკოს ბრინჯაოს ძეგლი ოქროსფერი წეროთი ხელში. ყოველი წლის 6 აგვისტოს ჰიროსიმასკენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიფრინავენ ქაღალდის ფერადი წეროების ულამაზესი გუნდები, როგორც მშვიდობის ელჩები.

# სასწავლო გეგმის ნიმუში

## პუნქტების მოკლე აღწერა

| | | |
|---|---|---|
| 1. გაკვეთილის თემა | ლიტერატურული მასალა ნახატებში (სულხან-საბას იგავებში) | |
| 2. სწავლების საფეხური და კლასი | დაწყებითი, V^ა | |
| 3. ინტეგრირებული საგნები<br>მასწავლებლების სახელი, გვარი | **საგნები** | **მასწავლებლ(ებ)ის სახელი, გვარი** |
| | ქართული ლიტერატურა ხატვა | მანანა ყაბანაშვილი ცირა მარტიაშვილი |
| 4. მოსწავლეთა რაოდენობა | 28 | |
| 5. განსაკუთრებული მიდგომების საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა და პროფილი | ---------- | |
| 6. გაკვეთილის სასწავლო მიზნები<br>(საგნების მიხედვით) | *ქართული*<br>ა) იგავების – „ენით დაკოდილი“, „უსამართლო შირვანშაჰი“, „ორმოში ჩაგდებული მეფე“, „მეფე და ავსიტყვა“, „უტკბესი და უმწარესი“ – იდეისა და თემის განსაზღვრა;<br>ბ) ნაწარმოების შინაარსის დაკავშირება ხელოვნებასთან და მათი ვიზუალური წარმოჩენა.<br><br>*ხატვა*<br>ა) ხატვისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამომჟღავნება<br>ბ) კვლევის უნარის, კრიტიკული აზროვნების განვითარება | |
| 7. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები | | |
| 8. თანმიმდევრობა (აქტივობა და დრო) | 45-წთ.<br>**აქტივობა I – 15 წთ.**<br>გაკვეთილს ატარებს ორი პედაგოგი. ორგანიზაციული მხარის მოგვარების შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასაწვლებელი კლასის წინაშე სვამს კითხვებს:<br>დაასახელონ, სულხან-საბა ორბელიანის რომელი იგავები ისწავლეს;<br>როგორ აღიქვეს ეს იგავები, მოსწონთ თუ არა სახელმძღვანელო ან ნაწარმოები, რომლებიც დასურათებულია?<br>იმსჯელონ, რატომ მოსწონთ, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის ნახატებს?<br>შეუძლიათ თუ არა, წარმოადგინონ იგავები მათ მიერ შესრულებული ნახატებით?<br>როგორ უნდა მიაღწიონ ამას?<br>გაკვეთილის პროცესში ერთვება ხატვის მასწავლებელი, იგი განმარტავს, რა არის ხატვა, აჩვენებს ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნახატებს და საუბრობს ნაწარმოებში გადმოცემულ განწყობილებასა და იმაზე, რისი თქმა უნდოდა მხატვარს.<br>**აქტივობა II – 15 წთ.**<br>მუშაობა ინდივიდებში<br>/მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად/<br>**აქტივობა III – 10წთ.**<br>ნახატების გამოფენა და საუკეთესო ნახატების წარდგენა<br>მოსწავლეები მსჯელობენ – რატომ დახატეს შავი ფერით უსამართლო შირვანშაჰი, ავსიტყვა, რატომ მისცეს მათ მკაცრი გამომეტყველება, რატომ შეურჩიეს კაცს ნათელი ფერები და რატომ არ შეურჩიეს ასეთივე ფერები მის ცოლს „ენით დაკოდილში“ და სხვ.<br>მოსწავლეები ნახატების მიხედვით მსჯელობენ, მოსწონთ ასეთი გაკვეთილები, იზრდება მათი მოტივაცია და ინტერესი გაკვეთილისადმი. | |
| 9. შეფასება | (5 წთ.)<br>მოსწავლეთა შეფასება მიმდინარეობს მიზნებიდან გამომდინარე | |
| 10. საკლასო მენეჯმენტი – საგანმანათლებლო რესურსები | **ტექნიკა და ინსტრუმენტები** – ფოტოაპარატი | |
| | **ინფორმაციის წყაროები (ნაბეჭდი, ელექტრონული და სხვ.).** სახელმძღვანელო, ფანქრები, ფლომასტერები, ფურცლები, ნახატები | |
| | **ელექტრონული (კომპიუტერული) პროგრამები და რესურსები** | |

## პუნქტების მოკლე აღწერა

| | | |
|---|---|---|
| 1. გაკვეთილის თემა | არსებითი სახელი (ბრუნვა, რიცხვი) | |
| 2. სწავლების საფეხური და კლასი | დაწყებითი, V^ა | |
| 3. ინტეგრირებული საგნები<br>მასწავლებლების სახელი, გვარი | **საგნები** | **მასწავლებლ(ებ)ის სახელი, გვარი** |
| | ქართული ლიტერატურა ხატვა | მანანა ყაბანაშვილი ცირა მარტიაშვილი |
| 4. მოსწავლეთა რაოდენობა | 28 | |
| 5. განსაკუთრებული მიდგომების საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა და პროფილი | ---------- | |
| 6. გაკვეთილის სასწავლო მიზნები<br>(საგნების მიხედვით) | ა) გარკვევა ბრუნვებში, ბრუნვის ნიშნებსა და სავრცობში, ასევე არსებითი სახელის რიცხვში, მართლწერის საკითხებში;<br>ბ) პარალელის გავლება უცხო ენასთან და მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა;<br>გ) პრეზენტაციის უნარების განვითარება | |
| 7. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები | ქართ.V.5.10 შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:<br>ა) მართებულად შეარჩევს ბრუნვათა და რიცხვით ფორმებს, კონტექსტში მართებულად იყენებს სწორ სათანადო ფორმებს.<br>რუსული – შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:<br>შეძლებს მხოლობითიდან მრავლობითში გადაიყვანოს სიტყვა და შეძლოს რიცხვების სათანადო წარმოება. | |
| 8. თანმიმდევრობა (აქტივობა და დრო) | **აქტივობა I – 10 წთ.**<br>გაკვეთილს ატარებს ორი პედაგოგი. ორგანიზაციული მხარის მოგვარების შემდეგ ქართულის მასწავლებელი განწყობის შესაქმნელად, მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ კლასში არსებული საგნები და თარგმნონ რუსულად. შემდეგ გადახედონ გარეთ მიდამოს და დაასახელონ საგნები, რა თქმა უნდა, მათ უნდა მოუძებნონ რუსული შესატყვისებიც.<br>მოსწავლეთა ინტერესი იზრდება და ამას სიამოვნებით აკეთებენ. მასწავლებელი კლასის წინაშე სვამს კითხვებს:<br>– განსაზღვრონ, რას ეწოდება არსებითი სახელი და რა კითხვები დაესმის მას? გააკეთონ განსხვავება რუსულ ენასთან მიმართებაში.<br>– რამდენი ბრუნვაა ქართულში, რუსულში, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავენ ისინი ამ მიმართებით?<br>მოსწავლეებს ეძლევათ ერთი სიტყვა და ევალებათ წარმოადგინონ შვიდი ფორმით, რუსულში კი – ექვსი.<br>მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღნიშნული სიტყვის რიცხვი განსაზღვრონ და შესაბამისად მოუძებნონ მრავლობითი (თუ მრავლობითშია – მხოლობითი).<br>**აქტივობა II -10 წთ.**<br>მასწავლებელი კლასთან კითხვების საშუალებით მუშაობს:<br>– რამდენი მრავლობითი რიცხვია ქართულში?<br>– შეადარონ ერთმანეთს ებ-იანი და ნართან-იანი მრავლობითის ბრუნვათა ფორმები და რა განსხვავებას შენიშნავენ?<br>– როგორ იწარმოება მრავლობითი რიცხვი? გამოყონ სიტყვებში მრავლობითი რიცხვის მანარმოებლები.<br>– სუფიქსი ნ და თ რას აწარმოებს?<br>– რომელი ბრუნვის ფორმები არ ეწარმოება ნ/თ-ა სუფიქსიან მრავლობითს.<br>– თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ბრუნვის ფორმის გასარჩევად რა გამოიყენება?<br>– რა უნდა იცოდეს მოსწავლემ მრავლობით ფორმათა მართლწერისათვის და სხვ.<br>– როგორ წარმოიქმნება მრავლობითი რიცხვი რუსულ ენაში მდედრობითი, მამრობითი და საშუალო სქესის სახელებისთვის?<br>– ყველა სახელს აქვს თუ არა ორივე რიცხვი?<br>– როგორ ხდება სახელისა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელის შეთანხმება რიცხვში?<br>– რა მსგავსება-განსხვავებას ხედავენ ისინი სახელთა რიცხვის წარმოებაში? და სხვ.<br>**აქტივობა III – 15 წთ.**<br>/მუშაობა ჯგუფებში/ბარათები/<br>მოსწავლეებს ეძლევათ მცდარი ფორმები, მათ უნდა გაასწორონ და გააკეთონ პრეზენტაცია.<br>მოსწავლეები აღნიშნულ დავალებას კარგად ართმევენ თავს.<br>ასევე თარგმნიან ტექსტებს რუსულად და საუბრობენ მსგავსება- განსხვავებაზე.<br>**აქტივობა IV – 5 წთ.**<br>გაკვეთილის შეჯამება<br>მოსწავლეები თეორიულ ცოდნას ახორციელებენ რა, პრაქტიკულად, მასწავლებელთა დახმარებით, აჯამებენ გაკვეთილს და წარმოაჩენენ ქართული, რუსული ენის მიხედვით მსგავსება-განსხვავებას არსებითი სახელის რაობის გაგების, ბრუნვების, რიცხვისა და მართლწერის საკითხებში. | |
| 9. შეფასება | (5 წთ.)<br>მოსწავლეთა შეფასება ხდება მიმდინარე განმავითარებელი შეფასებით (მიზნებიდან გამომდინარე) | |
| 10. საკლასო მენეჯმენტი – საგანმანათლებლო რესურსები | **ტექნიკა და ინსტრუმენტები** – ფოტოაპარატი | |
| | **ინფორმაციის წყაროები (ნაბეჭდი, ელექტრონული და სხვ.) –** სახელმძღვანელო, ბარათები, დაფა, ცარცი. | |
| | **ელექტრონული (კომპიუტერული) პროგრამები და რესურსები** | |

საუბრები ლიტერატურაზე

# მუსიკალურობის საფუძველი

რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

წინამორბედი ქართველი პოეტების შემოქმედებისგან გალაკტიონის ლირიკა ერთი ნიშნითაც განსხვავდება – მასში განხორციელებულია პოეტური „მე“-ს სრული ინტიმიზაცია. გალაკტიონის პოეზიაში განსახიერებული ადამიანის მთელი არსებობა ინტიმური საიდუმლოა და ამდენად მისი გამოხატვა განდობაა. მაგრამ ის გვიმხელს თავის საიდუმლოს ისე, რომ რაღაცას ყოველთვის გაუმხელელს იტოვებს. რაც მთავარია, იგი თვითონაც არ ფლობს საკუთარ საიდუმლოს მთლიანად, ნაწილ-ნაწილ წვდება, მოიხელთებს მას – იგი იდუმალი, გამოუცნობი და მოულოდნელია თავისი თავისთვისაც. გალაკტიონის ლირიკული გმირისთვის მუდამ დაფარულია, რა შეემთხვევა შინაგანად, რა მოხდება მასში. მისი არსება ღიაა ყოფიერების განუჭვრეტელი შესაძლებლობების წინაშე, ელასტიურია. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ან ვაჟა-ფშაველას ლირიკული გმირი გაცილებით გამჭვირვალე და მდგრადია, მყარია. ამ მხრივ გალაკტიონი ახლოს ბარათაშვილთან არის, ოღონდ სულისმიერი მოულოდნელობები გალაკტიონის ლირიკაში უფრო მკვეთრად და უხვად იჩენს თავს.

მაგრამ ბარათაშვილისგანაც გალაკტიონს არსებითად განასხვავებს ის, რომ მან ქართულ პოეზიაში სრულფასოვან ლირიკულ თემად დაამკვიდრა სულის ყოველწამიერება. ბარათაშვილი ლექსში აღბეჭდავს მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, შემაჯამებელ სულიერ მდგომარეობებს და შეიძლება ესეც არის იმის მიზეზი, რომ მისი მემკვიდრეობა არ არის ვრცელი. გალაკტიონისთვის სწრაფწარმავალი სულიერი მოძრაობაც განსაკუთრებული და აღბეჭ-დვის ღირსია. გალაკტიონის პოეზია სულის შეუჩერებელი არსებობის გადმოშლაა, სული აქ გამუდმებით იცვლება, ყოველთვის სხვადასხვანაირია. შინაგანი ცხოვრების განუწყვეტელი ცვალებადობის აღბეჭდვა გალაკტიონის შემოქმედების ემოციურ ტონთა და განწყობილებათა დიაპაზონს განუზომლად აფართოებს. გალაკტიონმა გამოხატვის საგნად აქცია სულის სპონტანური სიცოცხლე, რომელიც ცნობიერ განცდებთან და გარესინამდვილიდან ატაცებულ შთაბეჭდილებებთან ერთად ხშირად მოიცავს ქვეცნობიერებიდან შემოჭრილ იმპულსებს – ბუნდოვან შეგრძნებებს, მოგონებებს და მიხვედრებს, წინათგრძნობებს, სიზმრის ფრაგმენტებს ... გალაკტიონის ციებ-ცხელებიანი ფანტასმაგორიებიც ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლის გამოხატულებაა, რამდენადაც სპონტანურია, ქვეცნობიერების უძირობიდან ცნობიერების ზედაპირზე უცაბედად და გაუგებრად აღმოცენებული, იქიდან წამიერად სინათლეში მოხვედრილი. იქმნება სულიერების ნაკადი, მდინარება, რომელიც თავის ტალღოვან მოძრაობაში დანთქავს და შეადნობს გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფენომენებსაც. ადამიანის სული გალაკტიონის პოეზიაში სრულად ავლენს იმას, რომ იგი თავისი არსით, ბუნებით მუსიკალურია – მოძრავი, დენადი მთლიანობაა, ერთიანი ნაკადია. სულის და მუსიკის შინაგანი ნათესაობა, მსგავსება, რომელიც დადასტურებულია ესთეტიკურ მეცნიერებაში, სწორედ მათ დინამიურ და დენად, ნაკადისებურ ბუნებაში მჟღავნდება (ნ. ჰარტმანი).

როცა გალაკტიონის პოეზიის მუსიკალურობაზე ვლაპარაკობთ ხოლმე, მხედველობაში გვაქვს მისი მელოდიკის, რიტმულ-ინტონაციური წყობის მომნუსხველობა, გალაკტიონის სახეობრივი აზროვნების სუგესტიური ნისლოვანება. ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუსიკალურია თვით პოეტის მსოფლგანცდის, მსოფლაღქმის სიღრმისეული საფუძველი.

გალაკტიონისთვის ადამიანის სული და მთლიანად სამყარო თავისთავად არის მუსიკა – დინება, ნაკადი, ქროლა. *„ოჰ, სიცოცხლეც უეცარი ქარია“* – ამბობს ის ერთ ლექსში. სხვაგან ნათქვამი აქვს: *„ირგვლივ ნაკადებია, მსუბუქი და ფარული“*. სულს და სამყაროს გალაკტიონი განიცდის როგორც ჭავლების პულსირებას და მათ შეხვედრას, გადაკვეთას, ერთმანეთში შეღწევას. გალაკტიონის მსოფლგანცდის ეს არსებითი თავისებურება ხელშესახებად აშკარავდება ქარის ხატებში და არამარტო მათში.

*„თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის, მრავალ მიუვალ გზებით ფარული, ათიათასი ნაკადი გაჩნდა, მჩქეფი, ანკარა და მოხარული. მიწის ქვეშ გზები ვიდოდნენ წყნარად და იქ სხვადასხვა ადგილას რგული, ერთი მეორეს ეძებდა მარად ასიათასი მდინარის გული“*. დინებები, რომლებიც სამყაროში მოძრაობს, მრავალნაირია – ხილული, უხილავი, სუსტი და ნაზი, ან მძაფრი, ბობოქარი ... გალაკტიონის პოეზიაში ნაკადებად იშლება და განიფინება სხვადასხვა სტიქია და ფენომენი – ჰაერი, ცეცხლი, წყალი, თოვლი, სინათლე, ფერი, სიბნელე, ხმა, სურნელება ... თვალი მივადევნოთ, მაგალითად, როგორ ეფინება და მოიცავს რეალობას ღამეული შუქის და ფერების ნაკადი:

*„ის ტყეა მთვარით ქსოვილი, ვით ლოენგრინეს სიზმარი, ლაჟვარდით გადათოვლილი და ვერცხლით ნათილისმარი“*.

ანდა ვნახოთ, როგორ ეუფლება სამყაროს სიბნელის სტიქია:

*„მთვარეში შავი შრიალებს ჩალა, შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“*.

მზის ცხოველმყოფელი ენერგიის ნაკადთა ფრქვევა ასე გამოიხატება:

*„ო, მზით გადანაცხარო ცხრა მუხა და ცხრა წყარო“*.

ისევე როგორც ეს ნეოლოგიზმი – „გადანაცხარი“, გალაკტიონის სიტყვათშემოქმედების სხვა ნიმუშებიც ხშირად სწორედ ნაკადების, ჭავლების და მათი ვიბრაციის თუ განფენის ზედმიწევნით ზუსტი ბგერადი ნიშნებია: ბროლება, შემოთეთრება, ალოცება, მონაიავები, ზიანება, გადასოსნება...

სულიერ ნაკადად მსჭვალავს არსებობას იდუმალება, შეუცნობლობა:

*„მოდის, ფეთქს და იზრდება სული მისი მხრჩობელი, ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი“*. გალაკტიონის პოეტური ნატურა სამყაროს ნაკადების და დინებების ზემგრძნობიარე გამტარია. ამავე დროს პოეტი სამყაროსაც ასეთივე ზემგრძნობიარე გამტარად აქცევს თავისი ემოციების, განწყობილებების და ვნებებისთვის; პოეტის სულიერება ტალღებად მოედება და ფარავს სამყაროს, დენივით დაუვლის მას და იქმნება, ვთქვათ, ასეთი სახე: *„მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“*. პოეტს და სამყაროს შორის კონტაქტის მთავარი საშუალებაა ფლუიდების უჩინარი გაცვლა, მიმოქცევა, რომლის არხიც პოეტის უფაქიზესი ნერვებია (შეიძლება საუბარი „ნერვულობაზე“ როგორც ესთეტიკურ თვისებაზე, რომელიც ქართულ პოეზიას გალაკტიონმა შემატა). გალაკტიონის პოეზიაში სამყაროს და ადამიანის ყოფიერების ფუძისეული ფენომენები, – ღვთაებრივი და დემონური, სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე, თავისუფლება და მონობა, აღფრთოვანება და ტანჯვა, იმედი და სასოწარკვეთა – მათი არსი და მიმართებები ნაკლებად გაიხსნება მედიტაციურ-ინტელექტუალური ლირიკის ენით; ეს ფენომენებიც უპირატესად გამოიხატება როგორც სამყაროში და ადამიანის სულში მოძრავი სხვადასხვაგვარი ატმოსფერული ნაკადები. გალაკტიონის ლირიკა ფილოსოფიურია ისე, როგორც მუსიკა შეიძლება იყოს ფილოსოფიური. იგი სამყაროს, ცნობიერების და ქვეცნობიერების სიღრმისეული მოძრაობების და დინებების პოეტურ-მუსიკალური გააზრებაა.

# სიზმარი, როგორც ლიტერატურული ხერხი

***„სიზმარი თავადვე ხსნის საკუთარ თავს. ჩვენ მისი აზრი არ გვესმის არა იმიტომ, რომ ეს ენა აბსურდულია ან რთული, არამედ იმის გამო, რომ არავის უსწავლებია ჩვენთვის ამ ენაზე მეტყველება. ისევე როგორც ლათინური ან სანსკრიტული ტექსტი სრულიად გაუგებარია ამ ენის არმცოდნესათვის“.***

**კარლ გუსტავ იუნგი**

*ქეთი ქათამაძე*
*144-ე საჯარო სკოლის*
*პედაგოგი*

ყველა ეპოქაში, სოციალური ფენისა თუ რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, ნებისმიერ ადამიანს ინტერესს აღუძრავდა უჩვეულო, მოულოდნელობებით აღსავსე, ხშირად მხატვრული ნაწარმოებივით კომპოზიციურად შეკრული სიზმარი. მით უფრო საინტერესო სიზმარი, რომელიც ლიტერატურულ პერსონაჟს ესიზმრება. აშკარაა, მწერალი საკუთარი სათქმელის გადმოსაცემად იშველიებს სიზმარს, როგორც ლიტერატურულ ხერხს და მისი საშუალებით ცდილობს, ჩვენამდე მოიტანოს თავისი ჩანაფიქრი.

სიზმრის ფენომენის შესწავლას მეცნიერებაში დიდი ადგილი ეთმობა. მაინც ხშირად ჩნდება კითხვები: რამდენად გვეხმარება სიზმარი ამა თუ იმ პერსონაჟის ქვეცნობიერი სამყაროს უკეთ გაცნობაში თუ ის მხოლოდ სიუჟეტში სიტუაციის დაძაბვას ემსახურება?! რეალურად აისახება თუ არა სიზმარი პერსონაჟის შემდგომ ქმედებებსა და ხასიათზე?! განაპირობებს თუ არა სიზმარი ნაწარმოების იდეის სწორად განსაზღვრას?! რამდენად სწორად ახერხებს მკითხველი სიზმრით მოწოდებული ქვეტექსტის წაკითხვას?!

სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მრავალ ნაწარმოებში ფიგურირებს სიზმარი, რაც გვავალდებულებს დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ ლიტერატურული ხერხის კვლევას. პიროვნების ფსიქოტიპზე დაკვირვებითა და სიზმრის სიმბოლური დატვირთვის გაანალიზებით, რიგ შემთხვევებში, ხერხდება ზმანებით გადმოცემული ძირითადი იმპულსების მიგნება, თუმცა ზოგჯერ სიზმრის რელიგიურ და მეცნიერულ ასპექტებზე მსჯელობისას შედეგი ბუნდოვანია. მაინც, სასურველია, პედაგოგს მოსწავლის ყველანაირი შეკითხვისათვის ჰქონდეს არგუმენტირებული პასუხი, პასუხების მრავალფეროვნება და კამათი კი საგაკვეთილო პროცესის თანმხლები მოვლენა უნდა იყოს. ამ ნაწარმოებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ სიზმრის, როგორც ლიტერატურული ხერხის, მნიშვნელობასა და დატვირთვაზე, ასევე, შესაძლებელია, მოსწავლეები დავყოთ მიზნობრივ ჯგუფებად (ასაკის და პროგრამით გათვალისწინებული მასალის მიხედვით) და დავავალოთ მცირე პროექტის მომზადება სიზმრის ფუნქციის შესახებ. გთავაზობთ იმ ნაწარმოებთა არასრულ სიას, სადაც მწერალი ცდილობს, სიზმარი გამოიყენოს პერსონაჟის შინაგანი სამყაროს უკეთ გადმოსაცემად: ლუარსაბის სიზმარი (ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“), დედის სიზმარი (ხალხური „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“), ფარნავაზის სიზმარი (ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“), კირილე მღვდლის სიზმარი (აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“), ალუდას და მზიას სიზმრები (ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და „გველისმჭამელი“), ფინეზის სიზმარი (სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“), დიდოსტატის სიზმარი (კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“), პლატონის სიზმარი (დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“).

რიგ შემთხვევებში, პერსონაჟის სიზმარი იმეორებს უკვე ნანახ, განცდილ ამბავს, რითაც ავტორი ხაზს უსვამს ამ ამბის მნიშვნელობას პერსონაჟის ცხოვრებაში. ზოგჯერ სიზმარი მომავლის ნაადრევი ხილვა და გამოცხადებაა, წინასწარმეტყველურ ხასიათს ატარებს (ლუარსაბის სიზმარი), ზოგჯერ ღამეული ხილვა სიყვარულის საწყის ბიძგად იქცევა (დიდოსტატის სიზმარი), ხანაც, პირუკუ, შურისძიების, სიძულვილის პირველწყარო ხდება. აღსანიშნავია, რომ ხშირად პერსონაჟის ქვეცნობიერებაში დაგროვილ უარყოფით ემოციას სწორედ სიზმარი უხსნის გზას (ალუდას სიზმარი) და ადამიანი ხვდება, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია. სწორედ სიზმრის ზეგავლენის შედეგად იწყება ამ პერსონაჟთა სულიერი კათარზისი, ფერისცვალება (მოყმის დედის სიზმარი), მათში ჰუმანური საწყისის, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილების, მიმტევებლობისა და რაინდული სულის აღზევება.

ხშირად სიზმარი ნაწარმოების კომპოზიციის საფუძველია და მთელი ნაგებობა მას ეყრდნობა (კირილე მღვდლის სიზმარი, ფინეზ მეფის სიზმარი). მწერალი ძირითად სათქმელს ალეგორიულად, სიზმრის საშუალებით ამბობს და მერე მთელი ნაწარმოები ამ სიზმრის რეალობაში გადატანაა. აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“, მაგალითად, სიზმარი და ცხადი ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ კვანძის გახსნა მხოლოდ სიზმრის სიმბოლური სახის მართებულად გააზრების შემდეგ ხერხდება. მთელ მოთხრობაში განიტოტება სიზმარი, როგორც ძირითადი ლაიტმოტივი და მწერალს მისი საშუალებით მივყავართ ლოგიკურ დასასრულამდე. რიგ ნაწარმოებებში, სიზმრის რელიგიური ასპექტია წარმმართველი. მასში ხაზგასმულია პერსონაჟის ღვთაებრივი ბუნება და უფლის ნების გარდაუვალობა (ფარნავაზის სიზმარი). გმირის ბედი ცაშია გადაწყვეტილი და ამას იგი სიზმრის საშუალებით შეიტყობს. ბიბლია გვამცნობს: *„სიზმარში, ღამეულ ჩვენებებში, როცა ძილი წაიღებს ადამიანს, როცა თვლემს თავის საწოლზე, სწორედ მაშინ ხსნის უფალი ადამიანთა ყურებს და თავისის შეგონებებით ბეჭდავს“* (იობი, 35.15) ამდენად, სიზმრის რელიგიურ ასპექტზე მსჯელობისას, გაკვეთილზე, სიბრძნის ულევი წყარო – ბიბლიაც გაგვიწევს დახმარებას.

ხშირად პერსონაჟის სიზმარი იძლევა იმ ინფორმაციას, რომელიც სიფხიზლის მდგომარეობაში ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია. უძველეს შეხედულებათა მიხედვით, სიზმარი სწორედ ზეციურ ძალთა შემოქმედების შედეგია. ზოგადად, კი სიზმარი არაცნობიერის ყველაზე მკაფიო, ნათელი გამოხატულებაა. მთავარია, სწორად გავიგოთ მისი ენა. უმეტეს შემთხვევაში, ემპირიულ სინამდვილეშიც და მწერლის ფანტაზიით შექმნილ ყოფაშიც სიზმარი ასრულებს ორგვარ ფუნქციას: კათარტული ფუნქცია, ანუ პერსონაჟის სულიერი განწმენდა და აზროვნების მეტამორფოზა. მთელ რიგ ნაწარმოებში სიზმარი პერსონაჟთა მომავალ ქცევას განაპირობებს, ანუ მათი მეტამორფოზის გამომწვევი მიზეზი ხდება.

დელფოსში, აპოლონის ტაძრის შესასვლელში ამოტვიფრული წარწერა „შეიცან თავი შენი!“ სოკრატეს ფილოსოფიური მოძღვრების დედაარსი გახდა. ვიმედოვნებთ, ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდები და ჰიპოთეზები, პირველ რიგში, სწორედ საკუთარი თავისა და ჩვენი ქვეცნობიერი სამყაროს უკეთ შეცნობაში დაგვეხმარება. ზოგადად სიზმარზე მსჯელობისას კი, ისევ სოკრატეს დავესესხებით: *„მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი და ამიტომ ვარ ყველაზე ბრძენი!“* სიზმრის საიდუმლოებით მოცული ფენომენის ამოცნობა ბევრმა მკვლევარმა სცადა, ჩვენ მხოლოდ ლიტერატურულ გმირთა სიზმრების მოკრძალებული ანალიზით შემოვიფარგლეთ.

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

# განვითარების თანამედროვე თეორიები

**რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე**

### უახლესი ტენდენციები განვითარების თანამედროვე თეორიებში

■ ადამიანის თავის ტვინის შესწავლისას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებამ გვიჩვენა, რომ ტვინი ***ბიოფსიქოსოციალური*** ორგანოა, რომელიც მხოლოდ მეორე ადამიანთან პირდაპირი დიალოგისას ფორმირდება. გენეტიკური მოცემულობა მხოლოდ გარკვეულ სოციალურ კონტექსტში რეალიზდება. ჯერ კიდევ აქტუალურია საკითხი, რომელია მთავარი – ბუნება თუ აღზრდა?

■ ადრეული ასაკის განცდები თავის ტვინის აგებულებაზე, მოზრდილის უნარ-შესაძლებლობებსა და ხასიათზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ;

■ მიჯაჭვულობის თეორია უახლესი ნევროლოგიური აღმოჩენების ახსნის სისტემას წარმოადგენს;

■ სიცოცხლისუნარიანობის თეორია ნეგატიურ გარემო პირობებში წარმატებული ადამიანის განვითარების საიდუმლოს ხსნის.

ემოციების რეგულაცია და მშობლებთან ტრანსაქციები ადამიანის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ცვლადებია.

### მიჯაჭვულობის თეორია

გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-სა და კანადაში იმ პირთა შორის, რომლებიც დაობლებულ ბავშვთა ოჯახებში გაშვილების პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი, საკმაოდ პოპულარული გახდა ტერმინი „მიჯაჭვულობის გრძნობის დარღვევა (მიჯაჭვულობის დარღვევა)“. ეს ტერმინი მოდის ე. წ. მიჯაჭვულობის ფსიქოლოგიიდან – ესაა მიმართულება, რომელიც გასული საუკუნის შუა პერიოდში შეიმუშავეს **მერი ეისვორტმა და ჯონ ბოულბიმ.**

***რა არის მიჯაჭვულობა?*** ამის გასაგებად მოგვყავს ყველაზე ტიპური მაგალითი: *ბავშვთა სახლიდან აყვანილი გოგონას მშობლებმა თავდაპირველად ჩათვალეს, რომ 8 წლის გოგონა საკმაოდ იოლად ახდენდა ახალ ცხოვრებაში ადაპტაციას. ის ახალი ოჯახის ყველა წევრის მიმართ ალერსიანი იყო, შეხვედრისას ნათესავებს ალერსიანად კოცნიდა და გამომშვიდობებისას თბილად ეხვეოდა. თუმცა მალე მშობლებმა შენიშნეს, რომ ის უცნობ ადამიანებთანაც ზუსტად ასე იქცევა. ამ აღმოჩენით ისინი ძალიან შეწუხდნენ და განაწყენდნენ იმის გამო, რომ გოგონა ერთნაირ ყურადღებას იჩენს როგორც თავისი ახალი მშობლების მიმართ, ისე სრულიად უცხო ადამიანების მიმართ. მათთვის კიდევ ერთი უსიამოვნო მომენტი იყო ის, რომ გოგონა საერთოდ არ განიცდიდა, როცა მშობლები სადმე მიდიოდნენ და უპრობლემოდ რჩებოდა მისთვის ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან. ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე მათ გაიგეს, რომ გოგონას არა აქვს ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის გრძნობა.*

რატომ აშინებთ უფროსებს ის, რომ ბავშვი თავისიანებს და უცხოებს ვერ ანსხვავებს, ყველა ქალს სიხარულით ეძახის დედას? ქუჩაში ნებისმიერ მოზრდილ ადამიანს ხალისით ართმევს ხელს და მზადაა, გაჰყვეს? რას ნიშნავს ბავშვისათვის ეს – მიჯაჭვულობის გრძნობა?

***მიჯაჭვულობა*** – ეს არის ძლიერი ემოციური ურთიერთკავშირი ადამიანებს შორის, რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება, მაშინაც კი, როცა ეს ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან. მოზრდილებს მოსწონთ, როცა ვინმეს მიმართ მიჯაჭვულობის გრძნობას განიცდიან, მაგრამ მათ ამ გრძნობის გარეშეც შეუძლიათ ცხოვრება. ხოლო ბავშვებისათვის მიჯაჭვულობის გრძნობის განცდა აუცილებელია. მოზრდილის მიმართ მიჯაჭვულობის გრძნობის გარეშე ბავშვი სრულფასოვნად ვერ ვითარდება, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი უსაფრთხოების განცდა, სამყაროს აღქმა, განვითარება. ჯანსაღი მიჯაჭვულობა ბავშვის ლოგიკური აზროვნების განვითარებას, სინდისის ჩამოყალიბებას, ემოციური იმპულსების კონტროლის უნარის ფორმირებას, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გაჩენას, საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობების გაგების უნარის გამომუშავებას, სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას უწყობს ხელს. პოზიტიური მიჯაჭვულობა განვითარების შეფერხების რისკსაც ამცირებს.

მიჯაჭვულობის დარღვევამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს არა მარტო სოციალურ კონტაქტებზე – სინდისის, პირადი ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებაზე, ემპათიის (ანუ სხვა ადამიანთა გრძნობებში წვდომის და თანაგრძნობის) უნარზე, არამედ ის ბავშვის ემოციური, სოციალური, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას იწვევს.

ბავშვებს, რომლებიც მიჯაჭვულობის გრძნობის დეფიციტს განიცდიან, სამყაროს შეცნობის და ადამიანთა შორის დამოკიდებულების არაადეკვატური აღქმა გამოუმუშავდებათ, რაც დიდობის ასაკშიც გრძელდება. ასეთი პიროვნებები, უკვე ზრდასრულ ცხოვრებაში, ხანგრძლივ თერაპიულ დახმარებას საჭიროებენ.

***როგორ ვლინდება ბავშვის მიჯაჭვულობა:***

■ თვალებით კონტაქტი;
■ ღიმილი;
■ პროტესტი განშორებისას;
■ ხელში აყვანის სურვილი;
■ გადევნება;
■ ძებნა;
■ ძახილი;
■ ჩაჭიდება, მიკვრა.

***მიჯაჭვულობის ფორმირება ბავშვებში***

მიჯაჭვულობის გრძნობა თანდაყოლილი არ გახლავთ. ის შეძენილი თვისებაა და მხოლოდ ადამიანებისთვის როდია დამახასიათებელი. ცხოველებთან მიმართებაში ამ თვისებას „იმპრინტინგს“, ანუ შთაბეჭდილების დაფიქსირებას უწოდებენ. ცნობილია, ექსპერიმენტი, რომელშიც წიწილებმა თავიანთ დედად მიიჩნიეს სათამაშო, ბორბლებიანი იხვი და გაჰყვნენ მას, ანუ პირველ მოძრავ ობიექტს, რომელიც გამოჩეკვისთანავე დაინახეს; ასევე ლეკვები თავიანთ დედად კატას თვლიან, რომელმაც ისინი საკუთარი რძით გამოკვება.

ვინაიდან ჩვილის ტვინში არ არის ასახული მშობელი დედა, რომელმაც მასზე დაბადებისთანავე თქვა უარი, ხოლო სრულიად სხვადასხვა ადამიანები მას ისე კვებავდნენ, რომ ხელშიც არ აჰყავდათ, ბავშვს კონკრეტულ ადამიანთან მუდმივი კავშირი არ უყალიბდება. ამიტომაც ამბობენ, რომ ასეთ ბავშვებს დარღვეული აქვთ მიჯაჭვულობის გრძნობა.

ნორმის ფარგლებში მიჯაჭვულობის ფორმირება გამარტივებულად შეიძლება შემდეგი მექანიზმის მეშვეობით აღვწეროთ: როცა ჩვილი შიმშილს გრძნობს, ის ტირილს იწყებს. მშობლები ხვდებიან, რომ ბავშვს შია და მას აჭმევენ. ასევე ხდება ბავშვის სხვა საჭიროებების დაკმაყოფილება: მშრალი ტანსაცმელი, სითბო, ურთიერთობა. საჭიროებების დაკმაყოფილებასთან ერთად ბავშვს იმ ადამიანის მიმართ ნდობა უყალიბდება, რომელიც მასზე ზრუნავს. ამგვარად ფორმირდება მიჯაჭვულობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც დედა ან მამა ჩვილის მოთხოვნებს ვერ პასუხობს, ბავშვი ამაზე რეაგირებს და პროტესტს უფრო ხანგრძლივად და ხმამაღლა გამოთქვამს. თუ ბავშვმა გარკვეული დროის შემდეგ საპასუხო რეაქცია ვერ მიიღო, ის კონტაქტში შესვლის მცდელობას წყვეტს და კონტაქტში მაშინაც კი აღარ შედის, როცა მშობლები უღიმიან ან თვალებში უყურებენ. იწყება სერიოზული სიძნელეები მშობლებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. როცა ამგვარი მდგომარეობა ბავშვის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ხშირად მეორდება, ის დაუკმაყოფილებლობის გრძნობას განიცდის, რასაც არაფრისმთქმელ, გრძნობებს მოკლებულ ურთიერთობამდე მივყავართ. საბოლოოდ ყოველივე ეს **ბავშვში ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხასიათის სერიოზულ და ხანგრძლივ ცვლილებებს იწვევს.**

3 თვის ასაკისათვის ბავშვს „გამოცოცხლების კომპლექსი“ უჩნდება (უფროსის დანახვაზე იღიმება, ხელ-ფეხს აქტიურად იქნევს, სიხარულის გამომხატველ ბგერებს გამოსცემს, ღუღუნებს, უფროსისაკენ მიიწევს). დაახლოებით 6-8 თვის ასაკში ბავშვი თავისი ოჯახის წევრებს უცხოებისაგან ასხვავებს. ამ ასაკში ის ძლიერადაა მიჯაჭვული დედაზე. 10-12 თვის ასაკში მეტყველების ფორმირება ხდება. ბავშვი ამბობს „დედა“, „მამა“. დაახლოებით 1,5 წლის ასაკში უცხოების მიმართ შიში ჩნდება.

***ბავშვსა და მშობელს შორის მიჯაჭვულობის განვითარების სტადიები***

■ ***არადიფერენცირებული მიჯაჭვულობის სტადია*** (1,5-6 თვე). ბავშვი გამოჰყოფს დედას, მაგრამ წყნარდება, როცა სხვა მოზრდილს ხელში აჰყავს. ბავშვი თვალს აყოლებს და უღიმის ნებისმიერ ადამიანს;

■ ***სპეციფიკური მიჯაჭვულობის სტადია*** (7-9 თვე). ამ სტადიისათვის დამახასიათებელია დედის მიმართ ფორმირებული პირველადი მიჯაჭვულობის განმტკიცება (ბავშვი აპროტესტებს, როცა დედას აშორებენ, უცხო ადამიანების გარემოცვაში მოუსვენრად იქცევა).

■ ***მრავლობითი მიჯაჭვულობის სტადია*** (10-18 თვე). დედის მიმართ გამომუშავებული პირველადი მიჯაჭვულობის საფუძველზე ბავშვი სხვა ახლობელი ადამიანების მიმართ არჩევით მიჯაჭვულობას ავლენს, თუმცა დედა მაინც „ყველაზე საიმედო ობიექტია“. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როცა ბავშვი ხოხვას ან სიარულს იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბავშვის მოძრაობის ტრაექტორია საკმაოდ ჩახლართულია, ის ყოველთვის დედას უბრუნდება და თუ ვინმე დედას ჩამოეფარება, ბავშვი გადაადგილებას და მის დანახვას ცდილობს.

2 წლისათვის, ბავშვი, როგორც წესი, თავისიანებისა და უცხო ადამიანების დიფერენცირებას მკაფიოდ ახდენს. ფოტოზე ცნობს ნათესავებს, თუნდაც დიდი ხნის უნახავთ. ადეკვატური განვითარებისა და ნორმალური ოჯახური გარემოს შემთხვევაში ბავშვი მზადაა გარემომცველ სამყაროსთან ურთიერობისათვის, ახალი ნაცნობობისათვის. ის სიამოვნებით ეცნობა სხვა ბავშვებს და მათთან თამაშს ცდილობს.

■ ***რაში დაგვეხმარება ამ ასაკობრივი ნორმებისა და თავისებურებების ცოდნა?*** მაგალითად, თუ ბავშვი დაახლოებით 9 თვისაა, აქამდე მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში ცხოვრობდა და დედის მხრიდან ემოციურ უარყოფას ადგილი არ ჰქონია, დედასთან დაშორება მისთვის უდიდესი ტრავმა იქნება და ახალი მიჯაჭვულობების ფორმირება გაძნელდება. მეორე მხრივ, თუ ბავშვი დედას 1,5-2 თვის ასაკში დაშორდება და მასთან ურთიერთობა ერთსა და იმავე მუდმივ ძიძას ან აღმზრდელს ექნება, რომლებიც ბავშვის ემოციური კინტაქტის ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, 5-6 თვის ასაკში მისი შვილად აყვანის შემთხვევაში მიმღებ ოჯახთან მისი შეჩვევა საკმაოდ ადვილი იქნება და სავარაუდოდ, არ გართულდება.

***მიჯაჭვულობის დარღვევის ფსიქოლოგიური გამოვლინებები***

***ბავშვს გარემომცველ მოზრდილებთან კონტაქტში შესვლა არ სურს.*** მოფერებისას ხელებით იშორებს, თვალებში არ უყურებს, მზერას არიდებს, შეთავაზებულ თამაშში ჩართვაზე უარს ამბობს. ამასთან ბავშვი თითქოს „შეუმჩნევლად“ უთვალთვალებს, აკვირდება უფროსს;

***გუნება-განწყობილების აპათიური ან დაქვეითებული ფონი,*** ამავე დროს გულჩვილობა, სიფრთხილე ან შიში;

***აუტოაგრესია*** – საკუთარი თავის მიმართ აგრესია. ბავშვი შეიძლება კედელს ან იატაკს თავს ურტყამდეს, სახეს, კიდურებს იფხოჭნიდეს, და სხვა;

***„დიფუზური კომუნიკაბელობა“.*** ბავშვს უფროსებთან დისტანციის გრძნობა არა აქვს, უფროსის ყურადღების მიქცევას ნებისმიერი გზით ცდილობს. ამგვარ ქცევას „მიწებების“ რეაქციაც შეიძლება ვუწოდოთ, როცა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა დაწესებულების აღსაზრდელი ნებისმიერ ახალ უფროს ადამიანს „ეწებება“, ეხვევა, ხელში აყვანას სთხოვს, დედას (ან მამას) უწოდებს.

***მიჯაჭვულობის დარღვევის მიზეზები***

***დეპრივაცია ადრეულ ასაკში.*** დეპრივაცია არის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანის ძირითადი ფსიქიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უკიდურესი შეზღუდვის შედეგად ჩნდება. ეს შეზღუდვა შეიძლება სენსორულ (შეგრძნებები), კოგნიტურ (ინტელექტი), ემოციურ, სოციალურ სფეროებს ეხებოდეს. ***სენსორული დეპრივაცია*** – ბავშვი განვითარებისათვის არასაკმარის მხედველობით, სმენით ან კინესთეტიკურ ინფორმაციას იღებს (მას სათამაშოები არა აქვს, ხელში არ აჰყავთ, არ ელაპარაკებიან, სასეირნოდ ქუჩაში არ გაჰყავთ). ***კოგნიტური (ინტელექტუალური) დეპრივაცია*** – ბავშვზე აბსოლუტურად არაფერია დამოკიდებული და მას არჩევანის გაკეთება არ შეუძლია, – მაგალითად, დათქმულ დროს უნდა ჭამოს და არავინ ეკითხება, შია თუ არა. ასეთ ბავშვებს არ შეუძლიათ პასუხი გასცენ მარტივ კითხვებზე: „გშია თუ არა?“, „ვინ გინდა გახდე?“, „რის გაკეთებას ისურვებდი?“ – მათ არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. ***ემოციური დეპრივაცია*** – ბავშვი თავის ქცევაზე უფროსისაგან ემოციურ გამოხმაურებას (სიხარულს, მოწონებას, უკმაყოფილებას და სხვ.) არ იღებს. ის საკუთარი ქცევის რეგულირებას, თანაგრძნობას ვერ სწავლობს, თვალებით კონტაქტს ერიდება. ***სოციალური დეპრივაცია*** – ბავშვებს საშუალება არა აქვთ თამაშებში დედის, მამის, ბებიის, მასწავლებლის როლები შეასრულონ და მათ სოციალური როლების პრაქტიკული მნიშვნელობა არ ესმით.

***ოჯახურ ურთიერთობათა დარღვევა.*** დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ემოციური ურთიერთობა აქვს ბავშვს მშობლებთან, სასურველი შვილია თუ არა, ადგილი აქვს თუ არა ოჯახის რომელიმე წევრთან ემოციურ მიჯაჭვულობას. ერთი შეხედვით პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ახალი მიჯაჭვულობის ჩამოსაყალიბებლად გაცილებით უფრო ხელსაყრელია სიტუაცია, როცა ბავშვს უკვე აქვს განცდილი მიჯაჭვულობის გრძნობა მშობლის მიმართ. თუ ბავშვს მოზრდილ ადამიანთან ურთიერთობის დამყარების დადებითი მოდელი გამოცდილებაში უკვე აქვს, ის განშორების მომენტს რთულად გადაიტანს, თუმცა შემდგომში სხვა მოზრდილ ადამიანთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება მისთვის გაცილებით ადვილი იქნება.

***ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური) და უგულებელყოფა.*** აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობაგანცდილ ბავშვებს შეიძლება ძლიერი მიჯაჭვულობის გრძნობა ჰქონდეთ თავიანთი სასტიკი მშობლების მიმართ. საქმე იმაშია, რომ ოჯახში ძალადობაგანცდილი ბავშვები, ერთი მხრივ, საკუთარ თავში იმდენად იკეტებიან, რომ სტუმრად ნაკლებად დადიან და ოჯახურ ურთიერთობათა სხვა მოდელებს ვერ ხედავენ. მეორე მხრივ, ისინი იძულებულნი არიან საკუთარი ფსიქიკის გადარჩენის მიზნით, ამგვარ ოჯახურ ურთიერთობათა ნორმალურობის ილუზია შეინარჩუნონ. ბევრი მათგანისათვის დამახასიათებელია მშობლების თუნდაც ნეგატიური ყურადღების მიქცევა ტყუილებით, აგრესიით (მათ შორის აუტოაგრესიით), ქურდობით, ოჯახში მიღებული წესების დარღვევით.

***მშობელთან*** *მოულოდნელი ან მტკივნეული განშორება* (მისი სიკვდილის, ავადმყოფობის ან ჰოსპიტალიზაციის გამო). ამგვარი განშორება ნებისმიერ ასაკში მტკივნეულია. განსაკუთრებით მძიმეა ბავშვისათვის მშობლის ან მასზე მზრუნველი ადამიანის სიკვდილი, განსაკუთრებით ძალადობრივი სიკვდილი. ახლობლის სიკვდილი ბავშვისათვის ორი მხრივ არის მატრავმირებელი: ჯერ ერთი, ის სიკვდილის მოწმე ხდება და მეორე, აცნობიერებს, რომ თვითონაც მოკვდავია.

***საცხოვრებელი ადგილის ხშირი შეცვლა***. განსაკუთრებით რთულია ეს პერიოდი 5-6 წლის ასაკში. ბავშვმა არ იცის, სად მიემგზავრება, კარგი იქნება იქ თუ ცუდი, განსხვავებული იქნება ძველი საცხოვრებელი ადგილისაგან თუ არა, იქ მეგობრებს შეიძენს თუ არა და სხვ.

მიჯაჭვულობის დარღვევის რისკი მაშინ იზრდება, როცა ჩამოთვლილ ფაქტორებს 1-2 წლის ასაკში აქვს ადგილი, აგრეთვე მაშინ, როცა რამდენიმე ფაქტორს ერთად აქვს ადგილი.

**გაგრძელება იქნება**

# მოსწავლეთა დღეები

22 მარტს, ბაკურციხის საჯარო სკოლაში (დირექტორი **ნინო სამადაშვილი**), თვითმმართველობის წევრების ინიციატივით გაიხსნა და 26 მარტამდე გაგრძელდა მოსწავლეთა დღეები „შეიცან თავი შენი“. საზეიმო გახსნასა და დახურვაზე აჟღერდა III კლასის (მასწავლებელი **ნანული გოდერძიშვილი**) „მოსწავლეთა ჰიმნი“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

დირექციის ფუნქციები მოსწავლეებმა შეითავსეს. მთელი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდა მოსწავლეთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები: XI კლასი – ქართულ ენაში **მარი მამისიმედაშვილი**, X კლასი – ისტორიაში **ნინო ბიჭიაშვილი**, V კლასი – მათემატიკაში და IX კლასი – ქიმიაში **ცისია ბაწაშვილი**, XII კლასი – ბიოლოგიაში **ეთერ ჯადუგიშვილი**.

აი, რას გვიამბობს მოსწავლეთა დღეების შესახებ XII კლასის მოსწავლე **ნინო ბიჭიაშვილი**: *მართალია მასწავლებლობაზე არასოდეს მიოცნებია, მაგრამ როცა გავიგე სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დღეების ჩატარების შესახებ, სიამოვნებით შევითავსე დირექტორის ფუნქცია და გადავწყვიტე, გაკვეთილიც ჩამეტარებინა ისტორიაში X კლასში (მასწავლებელი – **ნინო ბერიკაშვილი**). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დავგეგმე გაკვეთილი. გაკვეთილის თემა იყო „ფოტო, კინო და კინოდოკუმენტაციები“. მიზანი: ფოტო, კინო და კინოდოკუმენტების, როგორც ისტორიული წყაროს განხილვა. მოვიძიე ინფორმაცია, გამოვიყენე ჩვენი სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა მივხვდი, რა რთული პროფესიაა მასწავლებლობა და ჩემი პედაგოგების მიმართ უფრო მეტი პატივისცემა გამიჩნდა.*

**მარიამ ბაწაშვილი**, XII$^{ბ}$ კლასის მოსწავლე: *ყოველთვის მაინტერესებდა საგაკვეთილო ცხრილი და მასზე მუშაობის პროცესი. კვირეულის გამოცხადებისთანავე გადავწყვიტე, უფრო ღრმად ჩამეხედა სასწავლო ნაწილის გამგის ფუნქციებში. საინტერესო აღმოჩნდა კვირეულის დღეები, მოსწავლეებთან ერთად დავგეგმეთ ინტეგრირებული გაკვეთილები, გავეცანით ეროვნულ სასწავლო გეგმას, მოწონება დაიმსახურა ნინო ბიჭიაშვილის, ცისია ბაწაშვილის და ეთერ ჯადუგიშვილის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილებმა. მგონი ჩემში პედაგოგობის სურვილმაც გაიღვიძა.*



**ეთერ ჯადუგიშვილი**, XII$^{ბ}$ კლასის მოსწავლე: *მე დამეკისრა დირექტორის მოადგილის ფუნქციის შესრულება. მთელი კვირა ვხელმძღვანელობდი ღონისძიებების ორგანიზებას. ჩატარდა: მოდისა და იუმორის საღამო; ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“; დისკუსია XII$^{ა}$ კლასში თემა „მოსწავლეები მასწავლებლები“; VII კლასში ნორჩ შემოქმედთა საღამო „მუზავ, ჯადოქარო“.*

შინაარსიანი და დატვირთული კვირეული 26 მარტს საზეიმოდ დაიხურა. კვირეულის დღეებში გამარჯვებული მოსწავლეები სკოლის დირექტორმა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. შთაბეჭდილება ნამდვილად დიდი იყო. მოსწავლეები ყველა ჟანრში ნამდვილ პროფესიონალებად მოგვევლინენ. ბავშვების ბედნიერი სახეები ანათებდა დარბაზს, თითოეული ჩვენგანის გულში კი სიამაყემდე მისული სიხარული ციმციმებდა, რომ ქართულ გენსა და ნიჭს გადაშენება არ უწერია.

***ლალი ნიკოლაიშვილი***
*ბაკურციხის საჯარო სკოლის ორგანიზატორი*

# პედაგოგებისთვის სასერტიფიკაცო გამოცდაზე გამსვლელი ქულა დადგენილია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ **2010-2011 სასწავლო წლის** საატესტატო გამოცდების პროგრამები უკვე დამტკიცებულია. ამ მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა **ნათია ჯოხაძემ** და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **მაია მიმინოშვილმა** საგნობრივ ექსპერტებთან ერთობლივი შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები სამეცნიერო წრეებიდან, რომლებიც 2010-2011 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამებს გაეცნენ და შეფასება მისცეს.

2010-2011 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამები, რომელიც სექტემბერში უნდა დამტკიცებულიყო მარტის ბოლოს მომზადდა, რითაც მოსწავლეებს მეტი დრო მიეცემათ გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

უკვე დამტკიცებული 2010-2011 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამებით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ამჟამად საგამოცდო ტესტებს შეადგენს, რომლის აპრობაციაც მაისში მოხდება. აპრობაციის შემდეგ კი საბოლოოდ დადგინდება საატესტატო გამოცდების მინიმალური კონპეტენციის ზღვარი.

სასერტიფიკაციო გამოცდებზე გამსვლელი პედაგოგებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამსვლელი ქულები და საგამოცდო დრო დაადგინა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **მაია მიმინოშვილმა** ამის შესახებ 2 აპრილს ოფიციალურად განაცხადეს.

**დიმიტრი შაშკინი**: *„მოგეხსენებათ, 2014 წელს უკვე სავალდებულო იქნება, ყველა მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს, ჰქონდეს სერტიფიკატი. ოთხი წლის განმავლობაში ეს პროცესი ნებაყოფლობითი იქნება. ახლა მიმდინარეობს რეგისტრაცია, რომელიც 14 აპრილს დასრულდება. პირველ ეტაპზე სასერტიფიკაციო გამოცდები სულ 20000 მასწავლებელს ეხება, დღეისათვის დარეგისტრირებულია 10720 მასწავლებელი. რეგისტრაციის დასრულებამდე კიდევ 12 დღეა დარჩენილი და ვვარაუდობთ, რომ ეს რიცხვი 15000-მდე გაიზრდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავის დაპირებებს ყოველთვის ასრულებს – ჩვენ დაგპირდით, რომ 2 აპრილს გამოვაცხადებდით იმ კომპეტენციის ზღვარს, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები მიიღებენ სერტიფიკატს“.*

**მაია მიმინოშვილი:** *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩვენთვისაც და ჩვენი პედაგოგებისთვისაც, რამდენადაც მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა გამოვაცხადოთ, რომელიც ეხება კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს თითოეულ საგანში. ვვარაუდობდით, რომ მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში ვიქნებოდით მზად, გამოგვეცხადებინა ეს ზღვარი. ამ პერიოდის განმავლობაში გამოცდების ეროვნული ცენტრი ინტენსიურად მუშაობდა იმისათვის, რომ მეცნიერული სიზუსტით დაგვედგინა, რა უნდა ყოფილიყო ბარიერი პედაგოგებისთვის. 70-ზე მეტმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა ამ პროცედურაში და, საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ თითოეულ გამოცდაზე გამსვლელი ბარიერი იქნება მაქსიმალური ქულის 60 პროცენტი, ანუ პედაგოგმა 60 პროცენტზე მეტი უნდა მიიღოს, რომ გამოცდა ჩაბარებულად ჩაეთვალოს. მოგახსენებათ, რომ ყველა პედაგოგი აბარებს პროფესიულ უნარებს და ერთ-ერთ საგნობრივ გამოცდას. ეს ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და უცხო ენის პედაგოგებს.“*

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული საცდელი ტესტირებების შედეგების ფსიქომეტრული ანალიზით, თითოეული გამოცდისათვის დადგინდა ბარიერი. სერტიფიკატის მისაღებად თითოეულ გამოცდაში პედაგოგმა მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი უნდა დააგროვოს. პროფესიული უნარებისა და საგნობრივი ტესტების მაქსიმალური ქულა შემდეგნაირად განისაზღვრა: **პროფესიული უნარების ტესტი** – 80 ქულა; **ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი** – 80 ქულა; **უცხოური ენების ტესტი** – 120 ქულა; **მათემატიკის ტესტი** – 70 ქულა.

სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილე პედაგოგებს პროფესიული უნარებისთვის, ქართული ენისა და ლიტერატურისთვისა და მათემატიკის ტესტებზე მუშაობისთვის 5 საათი მიეცემათ, ხოლო უცხო ენის გამოცდისთვის – 3 საათი და 15 წუთი. საგნობრივი ტესტების, დაახლოებით, 40% საგნის სწავლების მეთოდიკას, ხოლო 60% საგნის ცოდნას მოიცავს.

პედაგოგებს, რომლებიც ბარიერს გადალახავენ, არა მხოლოდ ხელფასი მოემატებათ, არამედ საშუალება მიეცემათ მენტორ მასწავლებლად იმუშაონ, რაც 160-ლარიან დანამატს გულისხმობს. სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მას სახელმწიფო აფინანსებს. ტესტების მომზადებასა და გამოცდების ჩატარებას გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს. პედაგოგთა რეგისტრაცია 15 აპრილს დასრულდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი წნორის №3 საჯარო სკოლაში, არასამთავრობო ორგანიზაციის „ლამპარი 2009“ პროექტის – „მომავალი თაობისათვის“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებას დაესწრო. პროექტის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებისა და მასწავლებლების სამოქალაქო აქტივობებს, განავითაროს მოსწავლეებში მოქალაქეობის გრძნობა, წაახალისოს მათი ინიციატივები, ხელი შეუწყოს სკოლაში სამოქალაქო ჩართულობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მაქსიმალურად შინაარსიანი გახადოს მოსწავლეების თავისუფალი დროის ორგანიზება.

სკოლაში გაიმართა საზეიმო ღონისძიება „მოვიარე საქართველო“, რომელზეც მოსწავლეებმა წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები ტრადიციული ჩაცმულობით, შესაბამისი ცეკვითა და სიმღერით, ასევე კუთხეებისათვის დამახასიათებელი სამზარეულოთი.

მინისტრი, ასევე, დაესწრო პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებისა და შედეგების ამსახველ ფოტოგამოფენას კლუბ „პატრიოტის“ ოთახში, სადაც წარმოდგენილი იყო მასწავლებლების ტრენირების პროცესი და ტრენინგზე მათთვის გადაცემული მასალები, ასევე იმის ამსახველი კადრები, თუ როგორ იყენებენ მასწავლებლები ახალ უნარ-ჩვევებს საგაკვეთილო პროცესში (ჯგუფური მუშაობა, თვალსაჩინოებების გამოყენება, პრეზენტაციები).

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა სასკოლო კლუბებმა – „პატრიოტი“ და „ნერგები“ მინისტრს მათ მიერ განხორციელებული და მომავლისთვის დაგეგმილი საქმიანობები გააცნეს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ლამპარი 2009“ პროექტი „მომავალი თაობისათვის“ სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის დაფინანსების ფარგლებში განახორციელა.

---

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** თბილისის მე-200 საჯარო სკოლას ეწვია, ბავშვებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და სააღდგომო საჩუქრები გადასცა.

**დიმიტრი შაშკინი**: *„ინკლუზიური განათლება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროცესი. გარდა განათლებისა, ამ ბავშვებს მუდმივად სჭირდებათ სიყვარული და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და იმის გამო, რომ ამ სკოლაში სწავლობენ, არ უნდა ეგონოთ, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან. კიდევ ვიმეორებ, თანატოლების გვერდით ისინი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად უნდა გრძნობდნენ თავს. ამ მიმართულებით მუშაობას სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს.“*

მე-200 საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 137 მოსწავლეა, მათგან 110 პანსიონური მომსახურებით სარგებლობს. 4 აპრილს მინისტრს ამ სკოლის 30-მა მოსწავლემ უმასპინძლა.

ბავშვებმა სტუმრებს სააღდგომო თემაზე შესრულებული ნამუშევრები უჩვენეს.

მე-200 საჯარო სკოლის პედაგოგები ბავშვებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობენ, სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვის გზით, მათ თვითმოვლასა და გარემოში ორიენტირებას ასწავლიან. ამ სკოლის პედაგოგები ხელს უწყობენ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას, ასევე ეხმარებიან სხვა სკოლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის დაუფლებაში.

**მარინე უჯმაჯურიძე**, მე-200 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ძალიან მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი, საერთოდ ჩვენს ბავშვებს ძალიან უყვართ სტუმრები. მინისტრი, რომელიც მათ აღდგომის დღესასწაულს ულოცავს, განსაკუთრებული სტუმარია. ასეთი ტიპის დაწესებულებებში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომას და იმედი გვაქვს, რომ ამ ბავშვებს კიდევ უფრო კარგი მომავალი ექნებათ.“*

მე-200 საჯარო სკოლას, 2008 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი“ ფარგლებში, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

---

6 აპრილს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ქუთაისში ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას ესტუმრა და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. სკოლა მალე სასწავლო პროცესს განაახლებს და არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლასა და ერთიან სამოქალაქო სივრცეში ინტეგრირებას უზრუნველყოფს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ამ სასწავლო დაწესებულების მისია ძალიან მნიშველოვანია, რადგან მაღალმთიანი, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ და კონფლიქტის ზონების რეგიონების მოქმედ ან პოტენციურ საჯარო მოხელეებს უწყვეტი განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის სრულყოფას სთავაზობს.

იმავე დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ანდრია რაზმაძის სახ. №41 საჯარო სკოლას ეწვია, ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ძველი სტატუსი დაუბრუნა და საჩუქრად 10 კომპიუტერი გადასცა.

დიმიტრი შაშკინი №41 სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდა და კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარე რეფორმებზე ესაუბრა.

ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახ. №41 საჯარო სკოლა წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა როგორც ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-პანსიონი და მთელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ემსახურებოდა. სასკოლო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებებითა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა სტატისტიკით ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი მოსწავლეები განსაკუთრებით წარმატებულები არიან ფიზიკაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში. 2009 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამოვლენილ 30 საუკეთესო სკოლას შორის 41-ე სკოლამ მე-2 ადგილი დაიკავა. 2010 წელს ოლიმპიადაში 41-ე სკოლის 1100 მოსწავლე მონაწილეობდა.

ქუთაისის №41 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია” ფარგლებში 2008 წელს განხორციელდა, რაზეც 1 500 000 ლარამდე დაიხარჯა.

სპორტი

# ევროპული ბრინჯაო

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, რაც ქართული რაგბისთვის უდიდესი წარმატებაა. მას შემდეგ, რაც პატარა ბორჯღალოსნებმა იტალიურ ტრევიზოში მიმდინარე თანატოლთა კონტინენტის პირველობის მეოთხედფინალში რუმინელებს 25:7 მოუგეს, ნახევარფინალში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმების გამო ირლანდიის ძლიერ ნაკრებთან 11:19 წააგეს. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მათი მეტოქე ბოლო ხანებში მოღონიერებული ბელგიის ნაკრები იყო. ჩვენი გუნდის თავკაც **ლევან მგელაძეს** ტრავმების გამო ამ შეხვედრაშიც გვარიანი ექსპერიმენტების ჩატარება და ლამის მთელი ნახევარდაცვის ხაზის გადაწყობა მოუწია. ამ ყველაფერმა პირველ ტაიმში ძალუმად იჩინა თავი და ჩვენებმა იგი, ერთი შეხედვით, უიმედოდ წააგეს – 0:15. საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ქართველებმა თამაში ძირეულად გარდასახეს და მეტოქე საკუთარ ნახევარზე გამოკეტეს. თუმცა მონაპოვარის იოლად დათმობას არც ბელგიელები აპირებდნენ, მაგრამ ჩვენი პატარა მორაგბეები უფროსების მაგალითზე იზრდებიან, იმათ კი თავდადება, შემართება და ჟინი არასოდეს დაეწუნებოდათ. უმცროსებმაც ამ თვისებების ხარჯზე პირველი ლელო ტაიმის დასაწყისშივე დაუდეს ბელგიელებს, რაც **ლაშა ლომიძემ** გააკეთა, თუმცა გარდასახვა გააფუჭეს. მალევე **გიორგი თეთრაშვილმა** ჯარიმით ანგარიში 7 ქულამდე შეამცირა – 8:15. ვითარების გამოსასწორებლად აუცილებლად გვჭირდებოდა კიდევ ერთი ლელო, რამაც ჩვენებს დამატებითი სტიმული მისცა და მეტოქე საკუთარ 22 მეტრიანს მიაჯაჭვეს. ლელოც გავიდა – **სანდრო ქოიავამ** დადო, მაგრამ გარდასახვა ვერც ამჯერად გამოვიყენეთ, თუმცა ჩვენებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუჩერებიათ და დამატებულ წუთებზე სანადელსაც უწიეს – **ელგუჯა სურგულაძემ** კიდევ ერთი ლელო დადო. ამდენად, ჩვენებმა 18:15 მოიგეს და მეტოქეს ბრინჯაოს მედლები, შეიძლება ითქვას, ხელიდან წაჰგლიჯეს.

მედლები ხომ თავისთავად გასახარია, როგორც დიდი წარმატება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენი ნაკრების პატიოსანი, სუფთა თამაში FIRA-ს წარმომადგენლებმაც კი აღნიშნეს – ჩვენებისთვის ეგრეთ წოდებული ბინძური თამაში და მისთვის დამახასიათებელი მიუღებელი ხერხები უცხოა. ბინძური თამაშით განსაკუთრებით რუმინეთის ნაკრები გამოირჩეოდა (ამ თვისებით მათი უფროსთა ნაკრებიც ცნობილია), მაგრამ ჩვენებმა საპასუხო ხურდა კარგი თამაშით დაუბრუნეს და არა დასაძრახი კვანტებით. საგულისხმოა, რომ რუმინელებთან თამაშის შემდეგ FIRA-ს წარმომადგენლებმა მსაჯები საგანგებოდ გააფრთხილეს, ყურადღება მიექციათ და დაუსჯელი არ დაეტოვებინათ რუმინელთა უხეშობა და მომდევნო შეხვედრაში კარპატელთა რამდენიმე მოთამაშე გააძევეს კიდეც. ჩვენებმა თავდადებულ, კარგ თამაშთან ერთად სუფთა თამაშით მოხიბლეს ირლანდიელი ქომაგები, რომლებმაც თამაშის მსვლელობისას რამდენჯერმე „ჯორჯია, ჯორჯია“ წამოიძახეს, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ფეხზე წამოუდგნენ და აპლოდისმენტებით გააცილეს ჩვენები. ვალში არც მორაგბეები დარჩენილან ერთმანეთს – საპატიო დერეფანი გაუკეთეს და მეგობრულადაც დაშორდნენ.

რაგბი რაინდული თამაშია, რომელიც მოთამაშეს არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც წვრთნის, პიროვნებად აყალიბებს და მას რაინდული ქცევა უხდება. რაგბიში შედეგიც მნიშვნელოვანია, მაგრამ რაინდობაც არანაკლებია. რაგბის ვერც ფიზიკურად სუსტი ითამაშებს და ვერც – მხდალი ადამიანი.

დასასრულს 18-წლამდელთა ფინალზეც ვთქვათ, რომელშიც ფრანგებმა ირლანდიელებს 27:3 მოუგეს. ევროპული მასშტაბით ორივე გუნდი ბობოლაა – დიდ ექვსეულში შედის, თუმცა ამ გუნდებს შორის კლასში რამხელა სხვაობაა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

# აჭარამ გლდანში იყოჩალა

აღდგომის წინა დღეებში გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრმა ჭაბუკ მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელსაც 3-8 აგვისტოს სარაევოში გასამართი ევროპის პირველობაზე წასვლის კანდიდატები უნდა გამოევლინა. თუმცა იქამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი – მანამდე ორივე ნაკრების კანდიდატები კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ და ნაკრებიც საბოლოოდ მათი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება. ამდენად, საქართველოს ჩემპიონები სარაევოში წასვლის უმთავრესი კანდიდატები კი გახდნენ, მაგრამ მათ ამ უფლების მოსაპოვებლად ჯერ ისევ უნდა იბრძოლონ და არანაკლებ ცხარედ, ვიდრე ეს გლდანში გააკეთეს. ოლიმპიური მზადების ცენტრში კი მართლაც დაძაბული პაექრობები გაიმართა. თვით მიზანმა – საევროპო ნაკრებში ადგილის მოპოვების სურვილმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ორივე შეჯიბრება მრავალრიცხოვანი გამოდგა – დაახლოებით 240-მდე მოზარდი მონაწილეობდა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის საქართველო 2010 წლის ჩემპიონები ბათუმელი **ბესიკ ბოლქვაძე** (42), გორელი **ბექა ბუჯიაშვილი** (46), თბილისელი **ლევან ცალქალამანიძე** (50), ასევე დედაქალაქელი **ლაშა ბიტარაშვილი** (54), ხაშურელი **დავით ბუზიაშვილი** (58), ბათუმელი **ირაკლი მოსიძე** (63), თბილისელები – **ლაშა გიგაშვილი** (69) და **იაკობ პეტრიაშვილი** (76), დედოფლისწყაროელი **არსენ მარტყოფლიშვილი** (85) და გორელი **გენო პეტრიაშვილი** (100) გახდნენ.

„ბერძენ-რომაელთა“ ტურნირში დიდი წარმატებით გამოვიდა აჭარის ნაკრები – 10-დან 7 ოქრო მოიპოვეს. იქაურთა წარმატება გასაკვირი არაა იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ბათუმი ჭიდაობის ამ სტილში საქართველოში ერთ-ერთი ლიდერი გახდა, მაგრამ აი, დანარჩენების ასე ჩრდილში მოქცევა კი გასაკვირია. აღსანიშნავია, რომ აჭარას იმ სამი წონიდანაც ორში ფინალში ჰყავდა მონაწილე, მთლიანობაში კი სამი ვერცხლიც მოიპოვა. მათი გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ: **ედნარ შავაძე** (42), **შმაგი ბოლქვაძე** (50), **ამირან შავაძე** (54), **რამაზ სურმანიძე** (58), **ფირუზ წულუკიძე** (63), **მათე ბერიძე** (69) და **ლაშა გობაძე** (76); დანარჩენი ოქროები კი სენაკელმა **მურთაზ ჩაბრავამ** (46), თბილისელმა **აკაკი კანდელაკმა** (85) და წყალტუბოელმა **იაკობ ქაჯაიამ** (100) ირგუნეს.

ამჟამად ორივე ნაკრები ისევ გლდანშია შეკრებაზე, მისი დასრულების შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირებშიც გამოვლენ.



# ელიტამ არ მიგვიღო

საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა კარგად დაწყებული საქმე ისეთივე შემართებით ვეღარ გააგრძელა და ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა. ჩვენი ფეხბურთელები შესარჩევი ეტაპის ელიტ-რაუნდში ჩეხეთში თამაშობდნენ, სადაც ქვეჯგუფის პირველ შეხვედრაში, ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელად, მასპინძელი ჩეხეთი 1:0 დაამარცხეს. გოლი ოზურგეთელმა **ვალერი ყაზაიშვილმა** გაიტანა. მეორე შეხვედრაში ჩვენები ჰოლანდიელებს ხვდებოდნენ, რომლებმაც მანამდე უკრაინელებს მოუგეს. ცხადი იყო, ამათში გამარჯვებული, პრაქტიკულად, ინაღდებდა ჯგუფში პირველ ადგილს, ანუ ავტომატურად გადიოდა ფინალურ ეტაპზე, თუმცა ჰოლანდიასთან მოგება რომ უძნელესი საქმე იქნებოდა, ყველამ კარგად ვიცოდით. ალბათ,

უფრო რეალური ფრე ჩანდა, რაც ჯგუფში პირველობის შანსებს ისევ შეგვინარჩუნებდა, საქმეც აქეთკენ მიდიოდა – ჰოლანდიელი **მაჰერის** მიერ მე-14 წუთზე გატანილს ორ წუთში „ბარსელონას“ **გიორგი ჭანტურიამ** გოლითვე უპასუხა და დიდხანს საყაიმო ანგარიში იყო. სამწუხაროდ, ჩვენებმა ბოლომდე ვერ გაძლეს – 69-ზე მეორე გოლიც მიიღეს და 1:2 დამარცხდნენ. ამას ჭანტურიას გაძევებაც დაემატა – ორჯერ გააფრთხილეს, რამაც ჩვენი მდგომარეობა ფრიად დაამძიმა.

ბოლო ტურის წინ ასეთი ვითარება შეიქმნა – პირველობის შანსს ისევ ვინარჩუნებდით, ოღონდ საამისოდ ჩეხეთს ჰოლანდია მინიმალური სხვაობით უნდა დაემარცხებინა, ჩვენ კი უკრაინელებისთვის დიდი ანგარიშით მოგვეგო. უკრაინას ჯგუფიდან გასვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ეჭვიც არ იყო, ორივე მატჩის წამგები შელახული პრესტიჟის აღსადგენად გააფთრებით იბრძოლებდა. საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა – ჩეხებმა ჰოლანდიელებს 1:0 მოუგეს, ანუ ზუსტად იმ ანგარიშით, რაც ჩვენ გვაწყობდა, მაგრამ ლიდერის გარეშე დარჩენილ ჩვენს ბიჭებს უკრაინელებმა ცხარე ბრძოლა გაუმართეს. მოგებას ვინ დაეძებს, საქმე ისე წარიმართა, სულაც შეხვედრა გაგვიხდა გადასარჩენი. უკრაინელები ორჯერ დანინაურდნენ, მაგრამ ჩვენებმა ორივეჯერ გაათანაბრეს. ლიდერის – ჭანტურიას გარეშე დარჩენილ **გიორგი დევდარიანის** გუნდს მხსნელად ამჯერადაც ყაზაიშვილი მოევლინა, თუმცა მისმა გოლებმა მხოლოდ მარცხისგან გვიხსნა. საბოლოოდ ფრე – 2:2 და ჯგუფში მესამე ადგილი.

*რუბრიკას უძღვება*
*ირაკლი თავაძე*

# ორი საინტერესო პროექტი

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მარო ჩხიტუნიძე**) ორი პროექტი – „აბა გოგონებო, აბა დედებო“ და „წიგნი ჩვენი მეგობარია“ – განხორციელდა დაწყებითი კლასების კათედრის გამგის, **ინგა კაჭკაჭაშვილის** მიერ, რომელიც ბევრი საინტერესო პროექტის და კვირეულის ავტორია.

პრობლემა, რის გამოც პროექტი „აბა გოგონებო, აბა დედებო“ განხორციელდა, იყო მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის დაბალი ხარისხი და გოგონების ინერტულობა სპორტულ ღონისძიებებსა თუ ყოფითი ხასიათის საქმიანობებში. ეს პროექტი ქალთა დღეს მიეძღვნა.

პროექტის მიზანი იყო მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, მათი გამოცდილების და უნარ-ჩვევების გამოყენება, მშობლებისათვის ხელის შეწყობა, რათა წარმატებით იმუშაონ ბავშვებთან. სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მშობლებთან თანამშრომლობით, სასწავლო-სააღმზრდელო პროექტის ფარგლებში დამზადდა სიგელები, მოსაწვევი და მისალოცი ბარათები დედებისათვის. ამ თამაშში ერთმანეთს შეხვდნენ დაწყებითი კლასის გოგონებისა და დედების გუნდები. „ია“ (Iკლ), „ლომები“ და „გაზაფხული“ (III კლ), „პეპლები“ (IVკლ). თამაშს აფასებდა კომპეტენტური ჟიური.

ღონისძიება მეტად საინტერესო, სახალისო და, ამასთანავე, დაძაბული აღმოჩნდა. დედები და შვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინტელექტში, მხატვრულ კითხვაში, სპორტულ და ყოფით საქმიანობებში. იყო სახალისო დავალებებიც: საუკეთესო ჭორი, მაწვნის ჭამა, თვალახვეული საკუთარი შვილის პოვნა, ვინ უკეთ იცნობს საკუთარ შვილს. ცოტა ხნით შევიხედეთ მათ სამზარეულოშიც და ვნახეთ, როგორ რთავდნენ ტორტებს და ამზადებდნენ საუკეთესო სალათებს.

*„ამ პროექტით გვინდოდა სიმბოლურად ყველა ქალისათვის მიგველოცა გაზაფხულის დღესასწაულები – „დედათა“ და „ქალთა“ დღეები, ხელი შეგვეწყო დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლების სკოლასთან თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის. შედეგმაც არ დააყოვნა – მივიღეთ წარმატებული და საინტერესო ღონისძიება თამაში მაინც თამაშია და გამოვავლინეთ გამარჯვებული გუნდები: „ია“ (I კლ) და „გაზაფხული“(III კლ)“* – აღნიშნა ინგა კაჭკაჭაშვილმა.

*„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ინგას ასეთი ლამაზი ღონისძიებისათვის. ასეთი მხიარული და ბედნიერი სკოლის დამთავრების შემდეგ არ ვყოფილვარ“* – აღნიშნა მშობელმა **ლალი აკოფაშვილმა**.

*„ქალბატონი ინგა ბევრი სასკოლო და სასკოლოთაშორისო პროექტის ავტორია. ეს პროექტი ერთ–ერთი მასობრივი ღონისძიება იყო, რადგან მასში თითქმის 30-ზე მეტი მოსწავლე და მშობელი მონაწილეობდა. აღფრთოვანებული ვარ მოსწავლეთა და მშობელთა დაინტერესებით და ჩართულობით. მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ინგა კაჭკაჭაშვილს, დაწყებითი კლასის მასწავლებლებს:* ***ქეთინო აფრიამაშვილს, ეთერ კაჭკაჭაშვილს, ლალი კაჭკაჭაშვილს, ნონა ჩილინგარაშვილს,*** *მშობლებს და პატარებს, რომლებმაც კიდევ ერთი ლამაზი დღე გვაჩუქეს“* – აღნიშნა ქალბატონ მარო ჩხიტუნიძემ.

მეორე პროექტი, რომელიც დაწყებით კლასებში განხორციელდა, იყო „წიგნი ჩვენი მეგობარია“. პროექტის მიზანი იყო წიგნიერების დონის ამაღლება, წიგნის კითხვის უპირატესობის ჩვენება, კითხვის სურვილის გაღვივება და ბავშვის წიგნის მეგობრად ქცევა, რაც ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლის საწინდარია.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვირეული, დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, წიგნის სანიშნეები, რომელიც ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს კვირეულის სამახსოვროდ გადაეცა. კვირეულის I დღეს ჩატარდა კონკურსი – „ჩვენ წესრიგში გვაქვს წიგნები“, თითოეული კლასიდან გამოვლინდა სამი საუკეთესოდ მოვლილი წიგნის პატრონი.

ამ კონკურსით კიდევ უფრო გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი სახელმძღვანელოების მოვლისადმი.

მეორე დღეს გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც საკუთარი ლექსები, საინტერესო ინფორმაციები და გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა; ამ დღესვე შეიქმნა წიგნი „საავადმყოფო“. III და IV კლასის მოსწავლეებმა და კლასის ხელმძღვანელებმა (ლალი კაჭკაჭაშვილმა (IVკლ), ინგა კაჭკაჭაშვილმა (IIIკლ) მოაწესრიგეს სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნები;

მესამე დღეს გაიმართა წიგნების გამოფენა-კონკურსი – „ჩემი საყვარელი წიგნის გმირი“, რომელმაც გამოავლინა საუკეთესო „მხატვრები“ და გაიმართა წიგნის პრეზენტაცია – „ჩვეენს მიერ შექმნილი წიგნები“. ხმის მიცემის წესით, გამოვლინდნენ საუკეთესო წიგნის ავტორები. ბავშვების მიერ შექმნილი წიგნების თემატიკა ძალზე მრავალფეროვანი იყო – წიგნები დათვებზე, ობობებზე, თევზებზე, მწერებზე, შინაურ ცხოველებზე, ახალი მიწების აღმოჩენაზე, საკუთარ თავზეც კი.

მეხუთე დღეს მოეწყო ინტელექტუალური თამაში – „ეტალონი“ I და II-კლასელებს შორის. გამარჯვებულ **ნიკა ბათმანაშვილს** „ეტალონის“ მანტია ჩააცვა სასწავლო ნაწილის გამგემ, **ვაჟა თათეშვილმა;** ინტელექტუალური თამაში – „ყველაზე ჭკვიანი“ III და IV კლასებს შორის გაიმართა. თამაში დაძაბული და ამაღელვებელი იყო. როგორც წესი, ბავშვები ემოციას ვერ მალავდნენ. გამოვლინდა სამი „ყველაზე ჭკვიანი“ მოსწავლე, რომლებმაც სამი საპრიზო ადგილი გაინაწილეს: **ივანე ფეიქრიშვილი, გიორგი ვარდიძე, ოთარ თათეშვილი**.

ამ დღესვე ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. III და IV კლასის მოაზროვნეების წინააღმდეგ თამაშობდა 12 მასწავლებელი. ეს თამაშიც ძალზე საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა 11:1, მოაზროვნეების სასარგებლოდ. თამაშის ბოლოს **გიორგი ვარდიძის** გუნდს გადაეცა „ბუ“ (ინტ. თამაშის სიმბოლო) და გამოვლინდა ოთხი მოაზროვნე: **გიორგი ვარდიძე, აჩიკო მსხვილიძე, სოფო აკოფაშვილი** და **ივანე ფეიქრიშვილი**.

იმედი გვაქვს, რომ დადებითი რეზულტატი არ დააყოვნებს – მსგავსი საინტერესო ღონისძიებების შედეგად გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაციის დონე, ინტერესი საგნებისა და კლასგარეშე ლიტერატურისადმი, გაუმჯობესდება დამოუკიდებელი აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

მეხუთე დღე კითხვის დღედ გამოცხადდა. შექმნილი იყო შესაფერისი გარემო იმისათვის, რომ მაქსიმალურად თავისუფლად ეგრძნოთ თავი ბავშვებს და თამამად გამოეთქვათ საკუთარი აზრი წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით. კითხვის შემდეგ გაიმართა წაკითხულის ირგვლივ დისკუსია, რაც ბავშვებს მოსმენისა და მსჯელობის უნარ-ჩვევებს უვითარებს. – *„კითხვის დღით ჩვენ გამოვეხმაურეთ ჟურნალ „მასწავლებელში“დაბეჭდილ სტატიას პროექტზე – „წიგნის მეგობრები“. ამ დღემ და საერთოდ პროექტმა, შესაძლებლობა მოგვცა, რომ ბავშვებს წიგნის კითხვის უპირატესობა დაენახათ. აშკარად შეიცვალა წიგნისადმი მათი დამოკიდებულება, გაიღვიძა კითხვის სურვილმა. პროექტმა ცოდნის გაღრმავების საშუალებაც მისცა მათ“* – აღნიშნა ინგა კაჭკაჭაშვილმა.

კვირეულის ბოლო დღეს ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია თემაზე „გადაშალე წიგნი – შეაღე ცოდნის კარი“, რომელშიც მონაწილეობდნენ I, II, III და IV კლასის მოსწავლეები. მათ წაიკითხეს ლექსები, გამონათქვამები, მოაწყვეს ინსცენირებები და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ წიგნი არა მარტო მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრიცაა, რომ წიგნზე ძვირფასი მეგობარი არ არსებობს, წიგნი ცოდნის საუნჯეა, რომელსაც ყველაზე მეტი წონა აქვს, მაგრამ ყველაზე ადვილი სატარებელია.

ღონისძიებების ბოლოს შედგა კვირეულის ფარგლებში გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოება. სკოლის დირექტორმა, მარო ჩხიტუნიძემ სიამოვნებით შეასრულა ეს მისია და აღნიშნა, რომ ყველა პროექტი, თავის მხრივ, საინტერესოა, მაგრამ ამ პროექტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რა როლი ეკისრება წიგნს, რომელიც ამ პროექტის შედეგად „ჩვენი მეგობარი გახდა“.

*ნინო კაჭკაჭაშვილი*
*არლის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი*

ადგილი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.